მართლმორწმუნე ჰალიფათა თანავარსკვლავედი

ოსმან ნური თოფბაში

2010

ქვთკირის კედლებისებრ ლოცვის ვალდებულების პერიოდში, კეთილშობილი თანამოღვაწეები, რომლებმაც სულიერი აღზრდა ალლაჰის წმინდა შუამავლის მუჰამმედისაგან ﷺ მიიღეს, გახლდათ "ჰულაფა რაში-დინის", ანუ "ოთხი მართლმორწმუნე ჰალიფას" პერი-ოდი, ამ პიროვნებებმა კაცობრიობის ისტორიაში შექმნეს თანავარსკვლავედი ალლაჰის წმინდა დესპანის მუჰამმედის ﷺ უახლოესი თანამოღვაწეებისაგან.

წიგნში გამოყენებულია არაბული ფონეტიკის შემცველობის სპეციფიური, სიმბოლო ასო-ნიშნები, რომელთა წარმოთქმასაც მუსლიმი მორწმუნეები მადლ-მოსილების გამოხატულებად და აუცილებელ გარემოებად თვლიან. მაგალითად წმინდა მუჰამმედის ﷺ სახელის წარმოთქმის შემდეგ (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას) არაბ-(ﷺ-სალლალაჰუ ალეიჰი ვე სალლამ) წმინდა თანამოღვაწეთა სახელების წარმოთქმისას(დაე ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით ან მათით) არაბ-(رضي الله عنه رادიალლაჰუ ანჰ, (ანჰა,ანჰუმა - მდედრ, მრავლობითი).

ISBN 978-9941-0-2277-7

მართლმორწმუნე ჰალიფათა თანავარსკვლავედი

ოსმან ნური თოფბაში

წინასიტყვაობა

კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებულადაა მიჩნეული „ასრ საადათის“ პერიოდი. ეპოქა, რომელშიც ქმნა სიკეთისა, კეთილგონიერება, ზნეობრიობა, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, შეთანხმებული იყო ალლაჰის ნებასთან და მორალურ კრიტერიუმებთან. ეჭვგარეშეა, რომ ყოველივე ზემოთქმული უკავშირდება პერიოდს, როდესაც დედამიწაზე მისი მადლმოსილება ანათებდა, ღვთიური მადლით აღვსილი მისი აღმატებულება, ხილულ და უხილავ სამყაროთა ხელმწიფე, ბოლო შუამავალი მუჰამმედი ﷺ .

ეს ეპოქა სრულყოფილ იქნა მისი ﷺ გულუხვობით, მოწყალებითა და მისივე სულიერი ზემოქმედებით. ეს გახლდათ პერიოდი, უტყუარ, ფაქტობრივ რწმუნებათა საფუძველზე დაახლოებოდნენ ადამიანები ალლაჰს და მის შუამავალს ﷺ, მისი უშუალო მოღვაწეობის ხილვით, გონებრივად გაცისკროვნებულ, ამაღლებულ სულიერებით აღსავსე ატმოსფეროში ჩაფლულიყვნენ, სადაც უზენაესი შემოქმედისა და მისი არსის შესახებ ფიქრი, სარწმუნოებრივ ასპექტში პრაქტიკულად იძლეოდა უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის საშუალებას.

იმდროინდელი საზოგადოება გახლდათ, სრული უკულტურობისა და გაუნათლებლობის, უზნეობისა და კაცთმოძულეობის წყვდიადიდან ზეწამომდგარი და ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალს მიღწეული საზოგადოება. კეთილმოქმედებამ და ზნეობრივი პრინციპების ცხოვრებაში პრაქტიკულად დანერგვამ, დასაბამი მისცა ალლაჰის გულით შეცნობის, მისი საიდუმლოების მიღწევის პრაქტიკას – „მარიფათულლაჰ-ს“.

ხოლო ისინი, ვინც გახდნენ ღირსნი ყოფ-ილიყვნენ ამ საზოგადოების წევრები, ისლამის ისტორიაში დარჩნენ, როგორც „საჰაბეი ქირამი“, ანუ ყოველმხრივ, მთელი გულითა და სულით ერთგულნი, მისი აღმატებულება წმინდა შუამავლის ﷺ, „კეთილშობილი თანამოღვაწენი“. ამიტომაც ამ ერთადერთმა თაობამ საუკეთესოდ შეძლო აღექვა, შეემეცნა და ჩვენამდე მოეტანა ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვა, საქმე და მოქმედებათა თავისებურებანი. ყოველივე ეს კი საბოლოოდ, სუნნეთის კრებულის სახით ჩამოყალიბდა და ჩვენთვის - მუსლიმთათვის, წმინდათაწმინდა სახელმძღვანელოდ იქცა.

ასჰაბი ქირამის - ავანგარდში, როდესაც ქვით-კირისებრ მტკიცე კედლის რიგებად ლოცვის ვალდებულება ჩვეულებად ქცეულიყო. მაშინ, რო-დესაც კეთილშობილ საჰაბეთა სულიერ წრთობაზე თავად ალლაჰის შუამავალი ﷺ ზრუნავდა, გახლდათ „ხულაფა–ი რაშიდინის“ ანუ „ოთხი მართლმორწმუნე ჰალიფას“ მმართველობის პერიოდი. მათ შექმნეს

დიადი თანავარსკვლავედი წმინდა თანამოღვაწეთა წრიდან, ისინი გამორჩეული იყვნენ იმითაც, რომ წილად ერგოთ ბედნიერება, წოდებულიყვნენ ყველაზე გამორჩეულებად იმ პერიოდის ასჰაბთა წრიდანაც კი, იმათი რიგებიდანაც კი, ვინც წმინდა შუამავლის ﷺ უახლოეს გარემოცვად ითვლებოდნენ. ეჭვგარეშეა, რომ მათი ნამდვილი სიყვარული გამოხატული ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ მიმართ გახდა საბაბი სულიერების თვალსაზრისით, თითოეული მათგანის ამაღლება-განათლებულობისა. შესაბამისად, ყოველივე ამან მთლიანად გარდასახა თითოეული მათგანის პიროვნება და ისინი სრულიად ახალი, ადრინდელისგან განსხვავებული, ზნემაღალი, ზემორალური პრინციპებით აღჭურვილ პიროვნებებად წარმოუდგნენ საზოგადოებრიობას. ეს ადამიანები უკვე პრაქტიკულ ასპექტში ახოციელებდნენ იმას, რაც ალლაჰის შუამავლის ﷺ სულიერ გამოძახილს უკავშირდებოდა და უპირველეს ყოვლისა ვლინდებოდა, სამყაროთა წყალობად მოვლენილი ბოლო შუამავლის ﷺ მორალურ-ზნეობრივ კოდექსზე დაფუძნებულ ქმედებათა ერთობლიობასა და ბუნებრივია ღვთისმსახურებაზეც. თითოეული ამ კეთილშობილების ნიმუშად ქცეული პიროვნების სულიერი სამყარო, მსგავსია უკიდეგანოდ ვრცელი სიბრძნის საგანძურისა, სადაც ულევია ღვთიური სიყვარულით გაჯერებული მადანი, მისი უზენაესობის შემეცნებისა. მასთან მიახლოების

წყურვილის განცდით გულათრთოლებული საჰაბეები, ალლაჰის გულით შემეცნების საიდუმლოებას აღწევდნენ, რასაც ისლამის სულიერების პრაქტიკაში „მარიფათულლაჰ“-ის სახელით ვიცნობთ. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარ ატმოსფეროში სისტემატიზირებული ქცევის წესები და ნორმები სრულყოფდა პიროვნებებს, რომლებიც შემდგომი ეპოქისა თუ ისტორიული ფორმაციის გათვალისწინებით, კაცობრიობის ისტორიაში იქცნენ ეტალონებად, სიბრძნისმეტყველებისა და საიდუმლო ღვთისმსახურების პრაქტიკულად განხორციელების ღვთიურ საქმეში, მათ თავიანთი მადლმოსილებით აღსავსე კვალი დატოვეს. თითოეული მათგანის ნაკვესი, თუ გამონათქვამი მათ სიცოცხლეშივე იქცა, ისლამის ისტორიის საფუძვლებში ფუნდამენტური ხასიათის განძად და მასშივე ჩაიბეჭდა ოქროს ასოებად.

„ხულაფა–ი რაშიდინი“ ამ სიმაღლეებზე ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ მიმართ უსაზღვრო სიყვარულის გრძნობამ აიყვანა. გარემოებამ ისინი სულით ხორცამდე შეადუღაბა ალლაჰის შუამავალს ﷺ. ისინი ისე შეერწყნენ წმინდა შუამავალს ﷺ, ვითარცა ზღვას ერწყმიან წყლის წვეთები. სამყაროს თვალისჩინი, წმინდა შუამავალი ﷺ მართლმორწმუნე ოთხ ჰალიფასა და მათი მმართველობის პერიოდზე ასე ამბობდა:

‘’(ჩემს შემდეგ) რელიგიურ-მქადაგებლური მისიით ჰალიფატი აღჭურვილი იქნება კიდევ 30 წელიწადს’’

ამგვარად, მან ﷺ გადმოგვცა, რომ წუთისოფლიდან მისი აღსასრულის შემდგომ იქნება ჰალიფატის, როგორც აღმასვლისა და გაფურჩქვნის, ასევე დასუსტება-დაცემის პერიოდიც. პირველი პერიოდი - დრო სიმშვიდისა, სოციალური წონასწორობისა და კაცთა ჰარმონიული თანაცხოვრებისა - გახლდათ პერიოდი, რომელიც „ასრ–საადეთად“ (კეთილშობილი ეპოქა) დარჩა კაცობრიობის მეხსიერებაში. პერიოდი, როცა თავისი შორსმჭვრეტელობითა და განსაკუთრებული ნიჭით მმართველობდა სახელგანთქმული „ხულაფა–ი რაშიდინის“ პირველი მართლთმორწმუნე ჰალიფა აბუ ბაქრი ﷺ .

მისი კეთილშობილება აბუ ბაქრ ას-სიდყი ﷺ

(მმართველობის პერიოდი 632–634)

ზნეობრივი თვისებებით, ყველა სხვა საჰაბისაგან განსხვავებით, მისი კეთილშობილება აბუ ბაქრი ﷺ მშვენიერებითა და სრულყოფილებით საოცრად გავდა წმინდა შუამავალს ﷺ. ის ღირსი გახდა იმისა, რომ დარჩენილიყო ერთგულებისა და სიყვარულის უმაღლესი გამოვლინების ნიმუშად ალლაჰის შუამავლის ﷺ მიმართ. მიუძღვნა რა საკუთარი თავი სრულიად და გამოუცხადა უპირობო მორჩილება ალლაჰის შუამავალს ﷺ, იგი არჩეული იქნა „ასრ საადეთის“ პერიოდის პირველ ჰალიფად. მან სულიერების თვალსაზრისით მწვერვალს მიაღწია, გახდა რა ღირსი ქცეულიყო კაცობრიობისათვის წყალობად მოვლენილ წმინდა შუამავალთან ﷺ გაიგივებულ თანამოღვაწედ, მისივე მსგავსებად. ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ აბუ ბაქრის ﷺ პიროვნებაში საბოლოოდ წმინდა შუამავლის ﷺ ანარეკლი იკითხებოდა. იგი მის იდენტიფიცირებად იქცა.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ყოველივე ის, რაც ჩემს გულში არსებობს, აბუ ბაქრის გულს შთავუნერგე“.

სულიერი ერთობისა და გარდასახვის პროცესს მიახლოება, აბუ ბაქრს ﷺ საკუთარი პიროვნული მოთხოვნილებების სრულებით გაუქმების ფასად დაუჯდა, რადგან მატერიალურ სამყაროში ღვთის სიყვარულის მოპოვებისათვის ყველაზე ძვირფასს, რასაც ადამიანი საზღაურად გასცემს, პირადად მისთვისაც ძვირფასი უნდა იყოს.

კეთილშობილი აბუ ბაქრი ﷺ იმისათვის, რომ ყოფილიყო უხვად დაჯილდოებული ღმერთთან სიახლოვის ტკბობის მადლით, უზენაესისა და მისი შუამავლისაგან ﷺ, მთელი ცხოვრება თავს მოუსვენრად გრძნობდა, რადგან საკმარისად არ მიაჩნდა აღნიშნული მეგობრობისათვის მის მიერვე გაღებული საზღაურის ოდენობა, რადგანაც იგი რეალურად ხედავდა, რომ ალლაჰის შუამავალი ﷺ იყო ფარული, თუ ცხადი ღვთისმსახურებების თავმოყრის ცენტრიცა და წყაროც, ანუ სულიერებისა და ღვთისმსახურების თვალსაზრისით, იგი იყო უმაღლესი მწვერვალი.

მარტოოდენ მისი ხილვაც კი ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანს აზიარებდა თვალხილულ და თვალით უხილავ საიდუმლო ღვთისმსახურებათა მთელ წყებას. ყოველივე ეს გამოხატული იყო მის ﷺ ყოველდღიურ საქმიანობასა და ცხოვრების

წესში. როდესაც ის - ყოფიერების ნათელი ﷺ - ცამეტწლიანი ქადაგების შემდგომ, მექადან-მედინაში გაემგზავრა, (როგორც ცნობილია, მექაში რელიგიური უთანხმოება დრამატიზმში გადაზრდის პირას იყო. ამის გამო, მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა და გახდა ჰიჯრის აუცილებლობაც). გზაზე მას ეჩვენა გამოქვაბული სახელწოდებით „სევრი''. სწორედ ამ გამოქვაბულში შთაეგონა მას მანამდე კაცობრიობისათვის უცნობ ღვთიურ საიდუმლოებათა შესახებ. „სევრი“ გახდა ადგილი, სადაც ღვთიური ბუნებისა და მისი არსის უზომო სივრცეში ჩაფლობის პირველი ნაბიჯები გადაიდგა, პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „გულისყურის გახსნა“, ღვთიური საიდუმლოების შესწავლის პირველ საფეხურად სწორედ გამოქვაბული „სევრი“ იქცა. სამი დღე და სამი ღამე გაგრძელდა ეს ვიზიტი. შუამავალი ﷺ მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად იყო მისი უახლოესი მეგობარი და შუამავალთა შემდგომ მორწმუნეობრივი თვალსაზრისით, ყველაზე მაღლა მდგომი ღრმად პატივცემული აბუ ბაქრი ﷺ. ერთადერთი საჰაბე, რომელიც ღირსი გახდა, სამი დღის განმავლობაში ყოფილიყო მასთან ﷺ ერთად. ის გახდა: „ორთაგან მეორე.“ (სურა „თევბე“ 9/40)

ყოფიერების ნათელი ﷺ ასე აწყნარებდა თავის ძვირფას მეგობარს:

„ნუ წუხხარ, უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა“! (სურა „თევბე“ 9/40)

და უხსნიდა ზეციური მფარველობის საიდუმლოებას. მუსლიმი სწავლულები, მსჯელობენ რა გამოქვაბულში ვიზიტის შესახებ, ასკვნიან, რომ სწორედ ეს ადგილი გახდა საიდუმლო ღვთისმსახურებისა და ზიქრის, ანუ ხსენების სწავლებისა და უზენაესი ალლაჰის მიმართ ღვთისმოშიში გულების თაყვანისცემის პირველ გამოვლინებად, რაც შეეხება „სუფიზმში“ გულიდან-გულში საიდუმლოს გადაცემის პროცესს, ისლამის ისტორიაში ამ პროცესის საწყის წერტილად „სევრის“ გამოქვაბული ითვლება. ხოლო პირველი ბედნიერი ადამიანი, რომელიც მას ეზიარა რა თქმა უნდა, კეთილშობილი აბუ ბაქრი ﷺ გახლდათ.

ამიტომაც ფრიად პატივცემული ას-სიდდიყი არის ოქროს სილსილში (ჯაჭვი) უშუალოდ შუამავლის ﷺ მომდევნო რგოლი, რომელიც გაგრძელდება ქვეყნიერების დასასრულამდე. ე.ი. სევრის გამოქვაბული იქცა დაწყებითი სულიერი განათლების მნიშვნელოვან ეტაპად, რომელსაც საიდუმლოებათ უსაზღვრო სივრცის გავლით მიჰყავს მონა-მსახური (მორჩილი) ალლაჰთან.

ეს ნიშნავს, რომ ყოველი კეთილშობილური და ამაღლებული მოგზაურობის მიმართულება, განზრახვა და მიზანი, ყალიბდება იმის და მიხედვით, თუ რამდენად მაღალია სიყვარულის ხარისხი ალლაჰისა და მისი ბოლო შუამავლის ﷺ მიმართ. სიყვარულის პირობად და ნიშნად გამოდგება ამ გზაზე დამდგარი მოგზაურის საქციელი, ანუ რამდენად

ითვალისწინებს იგი თავისი სიყვარულის ობიექტთა მიერ დაწესებული კანონების ერთობლიობას. კეთილშობილი აბუ ბაქრის ﷺ ცხოვრება გახლდათ აღნიშნულ გზაზე მოგზაურობის უბადლო მაგალითი.

აბუ ბაქრი ჩემშია და მე - მასში...

უზენაესი ალლაჰის სიყვარულით შეპყრობილმა და მისკენ მისწრაფებითა და ლტოლვით მიმავალმა პირველმა მართლმორწმუნე ჰალიფამ ﷺ, პარალელურად უარი განაცხადა ყოველგვარ პირადულზე, ცოცხლობდა რა, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შუამავლისა ﷺ და მის გვერდით ყოფნის სურვილით. ეს უკანასკნელი ფაქტორი გახლდათ მისი სიცოცხლის მიზანიც. ყოველი შეხვედრისას, როდესაც აბუ ბაქრი ﷺ ალლაჰის შუამავალს ﷺ ხვდებოდა, მას იპყრობდა უსაზღვრო მონატრების შემდგომ მიღწეული შედეგით გამოწვეული ემოციის კულმინაცია. ამასთანავე, მას ეუფლებოდა განშორების შემდგომ მოლოდინით გამოწვეული უკმარისობის განცდა, რომლის მიხედვითაც მისი სულიერი მდგომარეობა ვერ კმაყოფილდებოდა წმინდა შუამავლის ﷺ ხილვის კმაყოფილებით (ვეჯდით), ეს იგივეა რაც (ისთიღრაყი), ანუ საკუთარი თავის დაკარგვა პიროვნების მიმართ განცდილი ღვთიური სიყვარულის გამოვლინების გამო. როდესაც ის ალლაჰის შუამავლის ﷺ გვერდით

იმყოფებოდა, მას უფრო მეტად უძლიერდებოდა სიყვარულის გრძნობა.

ერთხელ წმინდა შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„არავის ქონებით ისე არ მისარგებლია, როგორც აბუ ბაქრის.“

აბუ ბაქრ ას-სიდდიყმა رضي الله عنه გახარჯა რა საკუთარი „მე“ და მთლიანად შეერწყა წმინდა შუამავლის პიროვნებას ﷺ, გაიგონა თუ არა ეს, თავი ალლაჰის შუამავლისგან ﷺ გარიყულად წარმოიდგინა. სულში საოცარი ტკივილი იგრძნო და რომ აზრობრივადაც აღარ განმეორებულიყო მასში განცალკევებისა და ეულად დარჩენის სულის შემძვრელი ფიქრი, წარმოსთქვა:

„ალლაჰის შუამავალო! ნუთუ მე და ჩემი ქონება სრულიად, არ გეკუთვნით შენ?!“

ეს იყო დადასტურება იმისა, რომ მან საკუთარი თავი და სიცოცხლე ღრმად პატივცემულ შუამავალს ﷺ მიუძღვნა. ალლაჰის შუამავალი ﷺ, მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ასე ბრძანებდა:

„აბუ ბაქრი ჩემშია და მე მასში, აბუ ბაქრი ჩემი ძმაა ამ წუთისოფელშიც და მარადიულ სამყაროშიც“.

ამით მან ﷺ დაადასტურა მათი ერთ სულიერ სამყაროში თანაარსებობის პერსპექტივა, ალლაჰის მარადიულ სამბრძანებლოში სულიერი ერთობის პერსპექტივა.

უახლოესი მეგობარი, ვისაც შთაეგონა ქადაგების საიდუმლოება

კეთილშობილმა აბუ ბაქრმა ﷺ სრულყო საკუთარი გული, როგორც სუფთა მოელვარე სარკე. მისი კეთილშობილება აბუ ბაქრი ﷺ ირეკლავდა გულში ალლაჰის შუამავლის ﷺ სულიერ სამყაროს. გამომდინარე იქედან, რომ იგი მთლიანად შეერწყა მის მადლიერებით აღსავსე პიროვნებას და ყველაფერს, რაც სამყაროს სიამაყეს ﷺ უკავშირდებოდა. აბუ ბაქრის ﷺ გულმა სიღრმისეული აზროვნების მნიშვნელობის გააზრების ფუნქცია შეიძინა. უზენაესი ალლაჰის სულის სიღრმემდე მიმღწევი აიათები, ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვა და საქციელი არაერთხელ გახდა, მის მიერ, დანარჩენი საჰაბეებისათვის ახსნა-განმარტებისა და განსაზღვრების ობიექტი. რამდენი ბრძნული და წინასწარმეტყველების შემცველი გამონათქვამი, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობისათვის გაუგებარი რჩებოდა, უნივერსალური ინტუიციის წყალობით აბუ ბაქრისთვის ﷺ მომენტალურად ცხადი ხდებოდა.

ასე მაგალითად, გამოსამშვიდობებელი ჰაჯობის დროს, უზენაესმა გარდამოავლინა აიათი:

„დღეს, (ამას იქით) სრულვქმენ თქვენთვის სარწმუნოება თქვენი და სრულვყავ სიკეთე ჩემი თქვენდამი. და კეთილვინებე თქვენთვის სარწმუნოებად ისლამი.“ (სურა მაიდე, 5/3)

ჰაჯობაზე დამსწრეთა უმრავლესობა სიხარულით ცას ეწია, ხოლო კეთილშობილმა აბუ ბაქრმა ﷺ თავისი ინტუიციის წყალობით იგრძნო, რომ უზენაესი ალლაჰი სულ მალე თავის უსაყვარლეს შუამავალს ﷺ თავისთან მიიხმობდა მარადიულ სამყაროში. იგრძნო რა, განშორების მოახლოება, მას გული დაუმძიმდა.

აი, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც გვიამბობს აბუ ბაქრის ﷺ უზადო ინტუიციის შესახებ. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ალლაჰის შუამავლის ﷺ ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რის გამოც იგი მეჩეთში ვეღარ დადიოდა. იმ პერიოდში მან იმამად, ანუ პიროვნებად რომელიც ჯემაათით ნამაზს შეასრულებინებდა მორწმუნეებს, აბუ ბაქრი ﷺ დანიშნა. ერთ დღეს იგრძნო რა თავი უკეთესად, შუამავალი ﷺ მეჩეთში მივიდა. საჰაბეებთან საუბრისას მან განაცხადა:

„ალლაჰმა, მფლობელმა რეალური დიდებულებისა, შესთავაზა მონას თვისას, რათა მას აერჩია მიწიერი სიამენი და სიამენი, რომელიც მას გააჩნია და მონამ ირჩია ის წყალობა, რომელიც ალლაჰს გააჩნია.“

ამ სიტყვებმა სიყვარულით აღსავსე აბუ ბაქრის ﷺ გული საშინლად დაამწუხრა. იგი ატირდა, მან უცებ გაიაზრა, რომ ალლაჰის შუამავალი ﷺ ხალხს გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართავდა. ის ხომ მისი უახლოესი მეგობარი იყო, რომელსაც შთაეგონა მქადაგებლური საიდუმლოება. მას ნაღვლიანი ცრემლების ფონზე აღმოხდა:

„შენ განაცვალებ დიადო შუამავალო ჩემს დედ-მამას, შენ გენაცვალოთ ჩვენი დედებისა და მამების სიცოცხლე, ქონებაცა და შვილებიც.“ (აჰმად 3-91)

დამსწრეთაგან ვერავის გაერკვია, თუ რა იყო სამწუხარო კეთილშობილი შუამავლის ﷺ სიტყვებში, საჰაბეებს ვერ გაერკვიათ აბუ ბაქრის ﷺ აცრემლების მიზეზი და ერთმანეთს გაკვირვებული ეუბნებოდნენ:

„საკვირველია, რა ატირებს ამ მოხუცს, ალლაჰის შუამავალი, ხომ საუბრობდა ზნეობით აღსავსე, კეთილშობილ ბრძენკაცზე, რომელმაც ამჯობინა წასულიყო უზენაესთან.“ (ბუჰარი, სალათ, 80)

ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდა, რომ მონა, რომელსაც შესთავაზეს აერჩია მიწიერი სიამენი და სიამენი, რომელსაც სთავაზობდა უზენაესი, იყო მისი აღმატებულება წმინდა შუამავალი ﷺ. მათ ვერ მოახერხეს დაეჭირათ წარმოთქმულ სიტყვაში ის, რაც მომენტალურად შეძლო და დაიჭირა აბუ ბაქრმა ﷺ. მაშინ წმინდა შუამავალმა ﷺ, იმისათვის, რომ დაეწყნარებინა აბუ ბაქრი ﷺ სიტყვა გააგრძელა და საჰაბეებს ასე მიმართა:

„მე უკან დავუბრუნე ვალი უკლებლივ ყველას, იმის შესაბამისად, თუ რამდენად კეთილად მემსახურნენ მე. გამონაკლისი მხოლოდ აბუ ბაქრია, რადგანაც მისგან იმდენი სიკეთე მახსოვს, რომ მას განკითხვის დღეს ალლაჰი გადაუხდის

მისთვის დამახასიათებელი უდიდესი სიკეთითა და მოწყალებით. ჭეშმარიტად, ყველაზე გულუხვი ქონებისა და მეგობრობის კუთხით იყო და არის აბუ ბაქრი. მე, რომ შემეძლოს მეგობრის არჩევა, გარდა ჩემი ღმერთისა, მე უცილობლად აბუ ბაქრს ავირჩევდი, თუმცა ძმობა, ისლამის მიხედვით, უწინარესია.“

შემდეგ კეთილშობილმა შუამავალმა ﷺ, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, ბრძანა:

„დახურეთ ყველა კარი, რომელიც ჩემკენ მოდის, ღიად მხოლოდ აბუ ბაქრის კარი დატოვეთ, მე ვხედავ შუქს ამ კარის თავზე.“

ასე რომ, მწუხარების მოლოდინში დახშულ იქნა ყოველი კარი, გარდა აბუ ბაქრის ﷺ კარებისა. საიდუმლო აზრი ამ სიტყვებისა გამოიხატება იმაში, რომ ალლაჰის შუამავალთან ﷺ, განსაკუთრებული სიახლოვის კარები შესაძლებელია გახსნა მხოლოდ დიდი მორჩილებით, მოკრძალებით, ერთგულებით, მეგობრობითა და სიყვარულით, ანუ ყოველივე იმით რაც ახასიათებდა კეთილშობილ აბუ ბაქრ ასსიდიყს ﷺ.

რწმენის ურყევი ციხესიმაგრე

აბუ ბაქრი ﷺ, გახლდათ რა ყველაზე მდიდარი საჰაბე უხვად იხარჯებოდა ალლაჰის გზაზე, როგორც პიროვნულად, ასევე მატერიალურადაც. ძა-

ლიან ხშირად მას მიჰქონდა მთელი თავისი ქონება ალლაჰის შუამავლის ﷺ წინაშე და ისევე როგორც შუამავალს ﷺ, არ ეშინოდა იმის, რომ ოდესმე გაღარიბდებოდა. შემოწირულობებს ახორციელებდა ღარიბთა გამოკვებისა და მათი მატერიალურად უზრუნველყოფის კუთხით. როდესაც წმინდა შუ-ამავალმა ﷺ მას ჰკითხა, თუ რა დაუტოვა თავის შვილებსა და ოჯახს, მან უდიდესი სულიერი გაწო-ნასწორებულობის ფონზე განაცხადა:

„მე მათ დავუტოვე ალლაჰი და შუამავალი!“ შუამავალი ﷺ არავის აძლევდა უფლებას მთელი თავისი ქონება მსხვერპლად გაეღო, საჰაბეთაგან გამონაკლისი მხოლოდ აბუ ბაქრი ﷺ იყო. რადგან ყოველი ადამიანის სულის სიღრმეში, შესაძლებელი იყო გაჩენილიყო სინანულის გრძნობა მას შემდეგ, რაც მსხვერპლად გაიღებდა მთლიან ქონებას. ამის შემდეგ ხომ სიღარიბეში მყოფს შაითანი (სატანა) მოსვენებას არ მისცემდა გასჩენოდა სინანულის გრძნობა ღვთის გზაზე გაღებული მსხვერპლის გამო. ამგვარი სი-ნანულის გრძნობა ჩადენილი სიკეთის სრულ ანულირებას ახდენს, მაგრამ მხოლოდ კეთილშობი-ლი აბუ ბაქრის ﷺ ალლაჰის და მისი შუამავლის ﷺ სიყვარულით აღსავსე სულიერი სამყარო იყო ურყევი ციხესიმაგრის მსგავსი.

აბუ ბაქრმა ﷺ, რომელმაც ისმინა ალლაჰის შუამავლის ﷺ მირაჯის (ცად ამაღლების სასწაული) შესახებ, მცირეოდენი ეჭვის გარეშე ირწმუნა და

დაადასტურა იგი. ამის გამო მას „ას - სიდიყი“ ანუ (მართალი) ეწოდა. ამ საქციელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, მისი რწმენის სიმტკიცე, რომელიც უშრეტი, ანკარა ნაკადულის მსგავსი იყო და რომლის შეძენაც მხოლოდ მისივე სუფთა გულით იყო შესაძლებელი. კეთილშობილი ალი ﷺ, როცა საუბრობდა სულისა და რწმენის სიმტკიცეზე, მას მთას ადარებდა:

„კეთილშობილი აბუ ბაქრი ﷺ მსგავსია მთისა, რომელზედაც ვერანაირი ქარი ვერ შეძლებს ზემოქმედებას“.

ალლაჰის გზაზე მთელი თავისი ქონების მსხვერპლად გაღების შემდეგ, ის ხშირად სიღარიბეში, უფრო სწორად სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობდა. მას მტკიცედ ჰქონდა გააზრებული, თუ რას ნიშნავდა ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ კმაყოფილების მოპოვება. სწორედ ეს ფაქტორი გახლდათ მოტივაცია იმისა, რომ მას, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, მსუბუქად გადაჰქონდა მიწიერი ხასიათის სიძნელეები, ცხოვრების განმავლობაში. ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობდა:

„დაე მათ, ვისაც სურთ დედამიწაზე იხილონ ცოცხალად გარდაცვლილი ადამიანი (პიროვნება, რომელმაც საკუთარ თავში ჩაკლა ყოველგვარი სურვილი მიწიერი სიამოვნებისა) კარგად შეხედონ და დააკვირდნენ აბუ ბაქრს.“

მოკრძალება და გააზრება იმისა, თუ რაოდენ მცირე ხარ ალლაჰის წინაშე

განერიდა რა ყოველგვარ მიწიერს და განთავისუფლდა საკუთარი ნაფსის (ცდომილების) ზემოქმედებისგან, ის მხოლოდ ისლამისა და ალლაჰის გულისთვის ცხოვრობდა. აბუ ბაქრი ﷺ გახდა მორალურ-ზნეობრივად ჩამოყალიბებული მუსლიმანის ხორცშესხმული მაგალითი. მიაღწია რა კეთილშობილების მწვერვალს, იგი, ვითარცა ალლაჰის შუამავალი ﷺ, ივიწყებდა ყოველგვარ პირადულს და მთელი სულითა და გულით განიცდიდა მუჰამმედის ﷺ უმმეთის (წმინდა შუამავლის მიმდევრები) განცდებს. მის ამგვარ სულიერ მდგომარეობაზე ეს ვედრებაც მიუთითებს:

„ო ღმერთო! შენ განადიდე ჯოჯოხეთში ჩემი სხეული ისე, რომ იქ ადგილი არ დარჩეს შენი სხვა მონებისათვის“.

რაოდენ დიდი კეთილშობილება, სულის სიფაქიზე იგრძნობა პირველი ჰალიფას ამ სიტყვებში. ალლაჰის წინაშე მუდმივად ყოფნის განცდამ და ფიქრმა საკუთარი არარაობის შესახებ, განსაზღვრა მისი ფიზიკური სხეულის უმნიშვნელობა. ის გახლდათ კეთილშემოქმედი და კეთილგონიერი უმმეთში. როდესაც იგი ჰალიფად აირჩიეს მიმბერზე ასულმა ხალხს განსაკუთრებული მოკრძალებით მიმართა:

„ო ხალხო, მე ამირჩიეს ჰალიფად, რათა გიხელმძღვანელოთ თქვენ. მაგრამ თქვენგან განსხვავებული

არაფრით არ ვარ. დამეხმარეთ მე იმ შემთხვევაში, თუკი ვერ შევძლებ როგორც საჭიროა ისე შევასრულო საკუთარი მოვალეობა. მიმითითეთ მე ჭეშმარიტი გზისკენ, თუკი არასწორ ნაბიჯს გადავდგამ და მოვიქცევი არამართებულად“. (იბნ საად 3. 182–183 სუიუტი “თარიჰულ ხულაფა 69-71-72; ჰამიდულლაჰ ისლამის შუამავალი 2-1181)

ეს ნიშნავს, რომ ამ უდიდესი საჰაბის ცხოვრება გამოირჩეოდა ჭეშმარიტი მორჩილებით, მოკრძალებითა და კეთილგონიერებით. მას შეეძლო ეღიარებინა შეცდომა და მიეღო გულითადი რჩევა, შენიშვნა და კრიტიკაც კი. როდესაც ხალხი მას მორჩილებისა და ერთგულების ფიცს აძლევდა, ჰალიფამ ამ სიტყვით მიმართა უმმეთს:

„მე არასოდეს გამაჩნდა სურვილი გავმხდარიყავი ჰალიფა, არ გამომიჩენია ამის მიმართ არანაირი ინტერესი, არც ღიად და არც ფარულად მითხოვია ამის შესახებ ალლაჰისთვის, რადგან ჰალიფობის ტიტული არ მანიჭებს, არც სულიერ სიმშვიდეს და არც კმაყოფილების გრძნობას“.

მართლაც, როდესაც აბუ ბაქრი ﷺ ჰალიფა გახდა მისი ცხოვრების წესი, ადრინდელთან შედარებით, უფრო ასკეტური გახდა. იგი ყველაფერში მცირედით კმაყოფილდებოდა.

ჰალიფობამდე იგი მზრუნველობას იჩენდა ობოლი გოგონების მიმართ, რომლებიც მის მეზობლად ცხოვრობდნენ, ეხმარებოდა მათ რითაც შეეძლო,

წველიდა მათ თხებსაც. მეზობლები ფიქრობდნენ, რომ ჰალიფობის პერიოდში აბუ ბაქრი ﷺ გამოიცვლიდა ცხოვრების წესს, ყოველ შემთხვევაში თხების წველას მაინც დაანებებდა თავს.

- ისინი მწარედ ცდებოდნენ!

- ჰალიფად არჩევამ ვერანაირად ვერ იმოქმედა აბუ ბაქრ ას-სიდდიყზე ﷺ, იგი იჩენდა რა უდიდეს მოკრძალებასა და მგრძნობელობას ობოლთა მიმართ, ჩვეულებისამებრ განაგრძნობდა მათზე ზრუნვასაც და მათი თხების წველასაც. (სუიუთი თარიჰულ ხულაფა გვ. 80; სარი ჩამ კეთილშობილი აბუ ბაქრი გვ. 82)

მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში, მას არ ახასიათებდა არანაირი მიდრეკილება რაიმე მიწიერის მიმართ. იგი ისევე როგორც ალლაჰის შუამავალი ﷺ, გადავიდა მუდმივ სამყაროში სუფთა სულით, მიწიერი ვალდებულებებისგან თავისუფალი, ერთადერთი განწყობით - წარმსდგარიყო ალლაჰის წინაშე, მისი უზენაესობის გარემოცვაში. ამიტომაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ის უფრო მოკრძალებულად ცხოვრობდა, ვიდრე მანამდე. იგი სულ უფრო და უფრო მცირედით კმაყოფილდებოდა; მან დაიბარა გაეყიდათ მიწის ნაკვეთი, რომელიც მას ეკუთვნოდა და მიღებული თანხა სახელმწიფო ხაზინაში შეეტანათ, იქ, საიდანაც ჰალიფა ღებულობდა ყოველთვიურ ჯამაგირს. (იბნ ასირ, ალ-ქამილ 2, 428.429)

გაწონასწორებულობისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღების მაგალითი

მას ახასიათებდა საოცარი სიმშვიდე. მის თვისებებში უფრო ჭარბობდა კეთილბუნებიანობა და შემრიგებლობა, მაგრამ ეს ყოველივე არასოდეს გადაზრდილა სისუსტესა და უძლურებაში. იგი ყოველთვის წარმომადგენლობითი და სპეციფიკურად მისთვის დამახასიათებელი თვისებებით იყო შემკული. აბუ ბაქრი ﷺ არასოდეს იყო გადაჭარბებული შეხედულებებითა და სიამაყით გამორჩეული პიროვნება. იგი უფრო ხშირად მიმტევებელი, დიდი მომთმენი, საოცრად რბილი და გამგები ადამიანი იყო. თუმცა, როდესაც აუცილებლობა მოითხოვდა, იყო მკაცრი და მიზანდასახული. მაგრამ მიუხედავად ამისა აბუ ბაქრი ﷺ ყოველთვის რჩებოდა გაწონასწორებულობისა და თავშეკავებულობის სიმბოლოდ. ამ თვისებების მიუხედავად, მას ერთხელაც არ გამოუხატავს უთანხმოება, სუბიექტური აზრი, ან საწინააღმდეგო ქმედება მისი ღირსების ალლაჰის შუამავლის ﷺ ბრძანებების მიმართ. ის იყო ისლამის მტკიცე, ურყევი შეუპოვარი დამცველი. არასოდეს მიდიოდა დათმობაზე, თუკი საქმე რელიგიას ეხებოდა. მან მკაცრი პასუხი გასცა ყველა იმ ადამიანს ვინც ალლაჰის შუამავლის ﷺ გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა რწმენისთვის ეღალატა და შეურაცხყოფა მიეყენებინა. იგი ძალღონეს არ იშურებდა იმათ წინააღმდეგაც, ვისაც არ სურდათ ზექათის გადახდა. მან განაცხადა:

„თუკი ისინი, ვინაც ვალდებულნი არიან გადა-იხადონ ზექათი, მე დამიმალავენ თუნდაც ძაფის პატარა ნაწყვეტს, რითაც თავს აარიდებენ ღვთიურ ვალდებულებას, ვფიცავ ალლაჰს მათ წინააღმდეგ ომს დავიწყებ!“.

ამგვარად მან განვითარების პერსპექტივა არ მის-ცა არეულობას, ქაოსს, აგრეთვე მოახერხა და მოიცილა ყოველივე ის, რასაც შეეძლო რელიგიის დამახინჯება. თვით ვაჟკაცობისა და სამართლიანობის უბადლო მაგალითი წმინდა ომარი ﷺ აღფრთოვანებული იყო მისი სიმტკიცითა და შეუპოვრობით. საჰაბეთაგან უდიდებულესმა აბუ ბაქრ ას-სიდიყმა ﷺ ცხოვრება გაატარა მუდმივ მსახურებაში, ამჟღავნებდა უსა-ზღვრო ერთგულებას, გულწრფელად ისწრაფვოდა სათანადო და ღირსეული ცხოვრება ჰქონოდათ მორწმუნეებს. მისი რჩევები და მითითებანი მდი-დარია იმით, რომ მათ შესწევთ ძალა გააღონ კარები, რომელსაც ზნეობრივი სიმაღლეებისკენ მივყავვართ. მისი ცხოვრების წესი ხასიათდება ალლაჰისა და მისი შუამავლის მიმართ გამოჩენილი ერთგულებისა და თავგანწირვის შეუდარებელი მაგალითებით. მისი გამონათქვამები სავსეა სიბრძნის ჭეშმარიტი მარგალიტებით, რომლებიც ირეკლავს ზნეობრიობის იდუმალ მშვენიერებას და თითოეული მათგანი მუსლიმთათვის, ცხოვრების წესად და ნორმად გამოდგება. აი, რამდენიმე ასეთი გამონათქვამი, რომელიც თავისთავად სიბრძნისა და ჭეშმარიტების საგანძურად ითვლება:

კეთილშობილ აბუ ბაქრის ﷺ გამონათქვამები

„გონიერი ადამიანი ღვთისმოსავია, ხოლო უგნური - ტირანი და დესპოტი.“

„უზენაესი ალლაჰი წმინდა ყურანში ლაპარკობს მის დაპირებებზე, ჯილდოზე და ამასთანავე ახსენებს ტანჯვისა და განსაცდელის მაუწყებელს სასჯელს, ეს იმიტომ, რომ ალლაჰის მონა-მსახური დაინტერესებული იყოს ღვთისმსახურებით, რათა მოერიდოს უზენაესის რისხვასა და სასჯელს“.

„თუ ხელიდან გაგექცევა სიკეთის ქმნის დრო, ნუ ინანებ გარდასულის შესახებ. შეეცადე უკვე განახლებული ძალით აღასრულო შენი ჩანაფიქრი. შეასრულებ რა აღნიშნულ სიკეთეს, ეცადე გაამრავლო იგი. გააკეთე მეტი კეთილი საქმე. შემდეგ გამოიჩინე გულმოდგინება და მონდომება რათა სრულყო შენ მიერ ჩადენილი ყოველი კეთილი საქმე, სიკეთის ქმნა იცავს ადამიანებს უბედურებებისგან“.

„გაექეცი დიდებას, რათა მან ფეხდაფეხ გსდიოს და მზად იყავი სიკვდილისათვის, რათა მოგეცეს სიცოცხლე“.

„მოთმინებას არანაირი ზიანი არ მოაქვს, ისევე როგორც, არანაირი შედეგი არ მოაქვს პანიკასა და მწუხარებას“.

„მოთმინება რწმენის ნახევარია, ხოლო მტკიცე რწმენა-სრულყოფილი რწმენაა“.

„სთხოვეთ ალლაჰს ჯანმრთელობა. მტკიცე რწმენის შემდგომ, არავის მისცემია იმაზე მეტი სარგებელი, ვიდრე ჯანმრთელობაა“.

„მე თუ მკითხავთ, უფრო ჭკვიანური იქნება მადლობა შევწიროთ ალლაჰს და ვიცხოვროთ მშვიდად მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად, ვიდრე გამოვავლინოთ მოთმინება, მას შემდეგ, როცა თავს ხიფათში ჩავიგდებთ“.

„წუთისოფელი მუ’მინთა ვაჭრობის ცენტრია სადაც დღე და ღამე მათ კაპიტალად ითვლება, კეთილი საქმეები - სიმდიდრედ, სამოთხე-მოგებად, ხოლო ჯოჯოხეთი- წარუმატებლობად“.

„სალავათი (მისალმება და ლოცვა-ვედრება) წარმოთქმული წმინდა შუამავლის ﷺ ხათრით უფრო სწრაფად მოგვაცილებს ცოდვებს, ვიდრე წყალი ახერხებს ცეცხლის ჩაქრობას. გავუგზავნოთ მას მისალმება სიყვარულითა და სუფთა გულით- უფრო დიდ მადლად ითვლება ვიდრე, მონების განთავისუფლება. ალლაჰის შუამავლის ﷺ სიყვარული უფრო მეტად ფასობს ვიდრე ასკეტიზმი, თავშეკავებულობა, ჯიჰადი, და ხმლის გამოყენება ალლაჰის გზაზე (ბაღდადი, თარიჰულ ბაღდათ 7,161)

„ალლაჰის კეთილგონიერი მონა-მსახურები“ თავიანთი სულიერი მდგომარეობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფიან. ყოველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სამი თვისება. პირველ ჯგუფში არიან ისინი, რომელებიც მუდმივად შიშში (ხაუფში) იმყოფებიან.

1. ყოველთვის მოკრძალებული არიან;

2. რამდენი სიკეთეც არ უნდა ჰქმნან, ყოველთვის ფიქრობენ, რომ ეს საკმარისი არ არის.

3. ისინი აზვიადებენ საკუთარ მცირეოდენ შეცდომასაც. (რადგან კარგად უწყიან, ვის მიმართ არიან პასუხისმგებელი ჩადენილი ცოდვის გამო).

მეორე ჯგუფში გახლავთ ადამიანები, ვისაც იმედი (რაჯა) აქვთ გულში:

1. თავიანთი ყოველი ქმედებითა და ცხოვრების წესით იძლევიან მართებული ცხოვრების მაგალითს, ავლენენ რა საკუთარი ხასიათის საუკეთესო შტრიხებს და კეთილზნეობრიობას, ისინი ითვლებიან მუ'მინთა სამაგალითო პიროვნებებად.

2. ითვლებიან რა ყველაზე გულუხვ მორწმუნეებად შემოწირულობებს ხარჯავენ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად.

3. ალლაჰის მონა-მსახურთა მიმართ ყოველთვის კეთილმოსურნენი არიან.

მესამე ჯგუფის მონა-მსახურები გახლავთ რელიგიურად განსწავლული პრაქტიკოსები (არიფები), რომლებიც ალლაჰის მიმართ უზომო სიყვარულით (მუჰაბბეთ) არიან განმსჭვალულნი. თაყვანს სცემენ და მსახურებენ მას. ისინი:

1. ალლაჰისათვის მსხვერპლად იღებენ იმას, რაც თვით მათ ძალიან უყვართ.

2. მათი ყოველი საქციელის მიზანი არის ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება. ამიტომაც, ისინი ყურადღებას არ აქცევენ მათ მიმართ ტლანქი და უხეში ადამიანების ქმედებებს. ისინი არ რეაგირებენ მაშინაც კი, როცა მსგავსი ადამიანები მათ მიმართ აგრესიას ახორციელებენ.

3. საკუთარი ნაფსის აღრზდის კუთხით აკეთებენ იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლიათ, მათი ყოველი ქმედება გახლავთ მორჩილება ალლაჰის ბრძანებაზე. (იბნ ჰაჯერ ალ ასფალანი, მუნნებბიჰათ გვ. 94,95)

კეთილშობილი აბუ ბაქრი ﷺ იყო, ალლაჰის მიერ დალოცვილი ისლამის დამცველი, მის პიროვნებაში ერთიანდებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი კატეგორიის ადამიანთათვის დამახასიათებელი თვისებები. დაე, გაიღოს მოწყალება მწყალობელთაგან ყველაზე მწყალობელმა უზენაესმა ალლაჰმა, რათა ჩვენც მოვახერხოთ და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ვიხელმძღვანელოთ იმ შეგონებათა მიხედვით, რომელიც ბრძენთა ბრძენმა აბუ ბაქრმა ﷺ დაგვიტოვა, რათა ვამრავლოთ სიკეთე ქვეყანად, რითაც მივაღწევთ სულიერ სიმშვიდეს!

დაე, მოწყალე ალლაჰი დაგვეხმაროს ყველას ვისარგებლოთ კეთილშობილი აბუ ბაქრის ﷺ ღირსეული და ბრძნული დარიგებებით, ვამრავლოთ ჩვენი კეთილი საქმეები, მივაღწიოთ სულიერ სიმშვიდეს! დაე, ალლაჰი დაგვეხმაროს მივსდიოთ ჰულაფაი რაშიდინის დალოცვილი თანამიმდევრებისა და

წმინდანების კვალს, რომლებმაც მიაღწიეს სიყვა-რულის წყაროს ალლაჰსა და მის შუამავალთან.

აბუ ბაქრის ﷺ გულწრფელი ვედრების აღვლენის შემდგომ წარმოვთქვათ აამინ!

„ო, ალლაჰო! დაე, ყველაზე ბედნიერი ჩემს ცხოვრებაში გახდეს წამი ჩემივე აღსასრულისა. დაე, ყველაზე სიკეთით სავსე აღმოჩნდეს ჩემი ნამოქმედრის ის ნაწილი, როცა შედეგს მოვიმკი და ყველაზე დალოცვილ დღედ იქცეს დღე, როდესაც შენ გიხილავ.“ (სუიუთი, თარიჰულ ჰულეფა გვ. 103)

„ო, ალლაჰო! ყველაზე სასარგებლო შემოსავალი ჩემთვის გახდეს ის, რასაც შენ მე მიწყალობებ ჯილდოს სახით. ის, რაც გახდება ჩემთვის შენგან მოწონებულ წყალობათაგან და გთხოვ მიწყალობო უმაღლესი ხარისხის სამყოფელი სამოთხეში!“ (სუიუთი, თარიჰულ ჰულეფა გვ. 103)

აამინ!

კეთილშობილი ომარ ბინ ჰატტაბ ელ-ფარუყი ﷺ

(მმართველობის წლები 634–644)

მეორე ჰალიფა-კეთილშობილი ომარი ﷺ იყო, ალლაჰის შუამავლის ﷺ უერთგულესი მიმდევარი. მთელი თავისი უანგარო ცხოვრების წესითა და საქციელით, მან უკვდავჰყო საკუთარი სახელი. იგი იქცა უთვალსაჩინოეს და სამაგალითო პიროვნებად ისლამის ისტორიაში. კეთილშობილი ომარი ﷺ მანამ, სანამ ღირსი გახდებოდა ზიარებოდა ისლამს, იყო იმ პერიოდის არაბული საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელი. ჯაჰილიეს (უმეცართა, გაუნათლებელთა) ეპოქაში, იგი მოკლებული იყო სიბრალულის გრძნობას, მისთვის უცხო იყო თანაგრძნობის პრინციპი, ომარისათვის ﷺ დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა სხვათა უფლებების შებღალვა.

ჭეშმარიტების რელიგიის შუქმა მიაღწია მის გულს და რადიკალურად შეცვალა იგი. იგი გახდა მგრძნობიარე, ბრძენი და სიყვარულით გამსჭვალული ალლაჰის ნებისმიერი ქმნილების მიმართ. იქცა

პასუხიმგებლობისა და სამართლიანობის მაგალითად. ადრინდელი ხისტი, უხეში და ულმობელი ომარი ﷺ უბრალოდ გაჰქრა. მის ნაცვლად გაჩნდა კეთილშობილი ომარი ﷺ - მგრძნობიარე გულით, მოწყალებითა და თანაგრძნობის ცრემლებით აღსავსე თვალებით. იგი ცდილობდა ტკივილი არ მიეყენებინა დედამიწაზე მობინადრე, არცერთისულდგმულისათვის, თვით პატარა ჭიანჭველისთვისაც კი. ყოველთვის ზრუნავდა წარმატებული ყოფილიყო მუჰამმედის ﷺ უმმეთი.

იტვირთა რა საკუთარ თავზე აღნიშნული პასუხისმგებლობა, იგი ცხოვრობდა ამ პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობით, რაც ზეგავლენას ახდენდა მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე. იგი ამბობდა:

„ვშიშობ, რადგან შეიძლება ალლაჰმა პასუხისმგებლობა დამაკისროს იმის გამო, რომ მდინარე ტიგროსის პირას მგელი ცხვარს დაგლეჯს.“

ის გახდა დამცველი და პატრონი ყოველი სუსტისა და ობლისა. ღამღამობით, საკვებით სავსე ტომრით ზურგზე მოგდებული, დადიოდა და დახმარების მომლოდინეებს ლუკმას უნაწილებდა, იგი სულიერად აფორიაქებული იყო მაშინ, როცა ხედავდა, რომ ვიღაცას გული ჰქონდა გატეხილი და ვერ ისვენებდა მანამ, სანამ ამ ადამიანს სიმშვიდე არ დაეუფლებოდა და სახე არ გაუნათდებოდა გულწრფელი ღიმილით. მან ﷺ მიაღწია პასუხისმგებლობის იმ ხარისხს მისდა-

მი რწმუნებულ საქმეებში, რომ ჰალიფობის პერიოდში დღედაღამ შუამავალ მუჰამმედის ﷺ უმმეთის საქმეებით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, იგი ﷺ თვლიდა, რომ მისი საქმიანობა მაინც არასაკმარისი იყო, რადგან მისთვის ნიმუშად და მისაბაძად ალლაჰის შუამავალი ﷺ რჩებოდა. მიუხედავად შუამავლის მიმდევრების წინაშე თავისი დამსახურებებისა და გმირობებისა, მისი გული მაინც გაჯერებული რჩებოდა პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობით. ცდილობდა ყოფილიყო მიზანმიმართული გადაწვეტილებათა მიღებისას. ამ მოტივით იგი გამუდმებით განგაშის ზღვრის პირას იყო. როდესაც თავს დაესხნენ, სასიკვდილოდ დაჭრილ ომარს ﷺ ჰკითხეს: „ხომ არ დანიშნავდით ვინმეს თქვენს ნაცვლად?“

სამართლის საკითხებში მეტად პუნქტუალურმა და მომთხოვნმა ომარმა ﷺ შეკითხვის დამსმელს ასეთი პასუხი გასცა:

„ნუთუ პასუხისმგებლობა, რომელიც თქვენ გამო სიცოცხლეში საკუთარ მხრებზე ვიტვირთე, სიკვდილის შემდგომაც თავადვე უნდა ვზიდო? მე არავითარ ჯილდოს არ მოველი იმის გამო, რომ თქვენ გემსახურეთ! ჰალიფობის პერიოდში მე მხოლოდ იმას ვცდილობდი, როგორმე კეთილი საქმეებით გამეწონასწორებინა ცოდვებით დამძიმებული ცხოვრების სასწორი. ჩემთვის საკმარისზე მეტი იქნება, თუ განკითხვის დღეს არ განმსჯიან .“

როდესაც შესთავაზეს მის ნაცვლად თავისი ვაჟი აბდულლაჰი დაენიშნა, მან განაცხადა:

„ოჯახიდან ერთი მსხვერპლი საკმარისია!“

ამიტომაც, დაივიწყა რა პირადი მოთხოვნილებების შესახებ, კეთილშობილი ომარი ﷺ წუხდა და იღწვოდა შუამავლის ﷺ მიმდევრების საქმეების გამო, რისი პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული. მთავარი მისი საზრუნავი გახლდათ სიწყნარე, მშვიდობა, უსაფრთხოება და ხალხის კეთილდღეობა. მისთვის ﷺ ამ ღვთიურ საქმეში ერთადერთ ეტალონად და მიბაძვის ობიექტად იყო და რჩებოდა ალლაჰის შუამავალი ﷺ.

კეთილშობილი ომარი ﷺ ფრთხილად და დიდის რუდუნებით, თოვლში გაკვალულ ნაბიჯებს მიმყოლი კაცის მსგავსად, მიჰყვებოდა ალლაჰის შუამავლის ﷺ განვლილ გზას, ეშინოდა რა გზას აცდენისა.

ასკეტიზმი (ზუჰრი) მცირედით კმაყოფილება (ისთიღნა)

ერთხელ კეთილშობილი ომარი ﷺ ალლაჰის შუამავალს ﷺ ეწვია და ის იატაკზე დაგებულ უხეშ ქვეშაგებზე მწოლიარე იხილა. მის მადლმოსილ სხეულს ნაჭდევები დასტყობოდა. ომარმა ﷺ თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. ალლაჰის შუამავალმა ﷺ მას ატირების მიზეზი ჰკითხა. ომარმა ﷺ მიუგო:

„ო, ალლაჰის შუამავალო! ყველასთვის ცნობილია, როგორ ფუფუნებასა და განცხრობაში ცხოვრობენ ირანის შაჰი ხოსრო, ან კიდევ ბიზანტიის კეისარი, მაგრამ შენ ხომ ალლაჰის შუამავალი ﷺ ხარ!“

სამყაროს თვალისჩინმა ﷺ ომარს ასე მიუგო:

„ო, ომარ! ნუთუ შენ კმაყოფილი არ იქნები იმით, რომ ყოველგვარი მიწიერი მათ ეკუთვნოდეთ?! ხოლო მარადიული და მუდმივი სამყარო - ჩვენ?“ (მუსლიმ, ტალაყ 31)

კეთილშობილი ომარის ﷺ მმართველობის პერიოდში ჰალიფატს შემოუერთდა სირია, ერაყი, პალესტინა, ეგვიპტე და ირანი. ბიზანტიისა და ირანის სიმდიდრე სხივნათელ მედინაში გადმოდინდა. ხალხის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვლა დადებითისკენ. მაგრამ ჰალიფატის მმართველი ამით როდი სარგებლობდა; იგი ყოველთვის მცირედით კმაყოფილდებოდა, ძველებურად კითხულობდა ხუთბეს გაცრეცილი ტანსაცმლით.

ერთხელ მისი კეთილშობილება ﷺ, როგორც მმართველი აქლემზე ამხედრებული უნდა შესულიყო შამში (სირია), მაგრამ ჰოი, სასწაული, აქლემზე შეჯდომის რიგი ქალაქში შესვლის მომენტში მსახურს ერგო:

-„ახლა შენი რიგია აბა ამხედრდი აქლემზე!“- მიმართა მას ჰალიფამ.

ყმა უხერხულობაში ჩავარდა და უარი განაცხადა:

-„ჰოი, ჰალიფაო! რას იტყვის ხალხი, ისინი შეცდომაში შევლენ, რადგან ჰალიფა მე ვეგონები!“- აღმოხდა მსახურს.

მაგრამ ჰალიფა ომარმა ﷺ ის მაინც შესვა აქლემზე, ხოლო თვითონ კი დამასკოში ფეხით შევიდა.

ძმობის, თანაგრძნობის და სამართლიანობის ეს მაგალითი ისლამის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა. ჰალიფა ომარი ﷺ ხელმოკლედ, სიღარიბეში ცხოვრობას ამჯობინებდა. დრო და დრო ფულს სესხულობდა კიდეც. ის დათანხმდა იმაზე, რომ სახელმწიფო ხაზინიდან აიღებდა ზუსტად იმდენს, რამდენიც სიცოცხლისთვის აუცილებელი იყო. ამიტომაც მუდმივად ხელმოკლედ ცხოვრობდა. მისი ამგვარი ცხოვრების წესი მოკრძალებულზე მეტიც გახლდათ. ხდებოდა ისეც, რომ უცნობები მასთან შეხვედრისას ვერც კი ამჩნევდნენ, რომ ჰალიფასთან ჰქონდა საქმე. იგი მთლიანად იყო შესისხლხორცებული მუჰამმედის ﷺ უმმეთზე. საჰაბეები, რომლებიც მის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ, ვერ ეგუებოდნენ სიღარიბის ზღვარზე მყოფ ჰალიფას და გადაწყვიტეს მისთვის ჯამაგირი გაეზარდათ. თუმცა როგორ ეთქვათ ამის შესახებ თავად ჰალიფისათვის ﷺ ვერ გადაეწყვიტათ, რადგან წმინდა ომარის ﷺ წინაშე ამ თემაზე საუბარს ყველა თავს არიდებდა. საჰაბეებმა კეთილშობილ ჰაფსას ﷺ, ჰალიფას ქალიშვილს, სთხოვეს ამ თემაზე მამასთან ესაუბრა. ჰაფსა ﷺ წმინდა შუამავლის ﷺ ყოფილი მეუღლე გახლდათ. მან მამას საჰაბეების გადაწყვეტილების შესახებ უამბო. ომარმა ﷺ, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა ნანახი ალლაჰის შუამავლის ﷺ სახლში არსებული ეკონომიური და მატერიალური პირობები იცოდა, რომ ხშირად წმინდა შუამავლის ﷺ სახლში უბრალო შეჭამადის პოვნაც კი არ იყო შესაძლებელი.

ქალიშვილს ჰკითხა:

„შვილო, გახსოვს თუ არა, რას მიირთმევდა და რა სამოსით იმოსებოდა ალლაჰის შუამავალი ﷺ?“

– რა თქმა უნდა მახსოვს, იგი სარგებლობდა მხოლოდ იმით, რაც უკიდურესად აუცილებელი იყო. შემდეგ კეთილშობილმა ომარმა ﷺ გააგრძელა:

- „ჩემი ორი უახლოესი მეგობარი (წმინდა შუამავალი ﷺ და აბუ ბაქრი ﷺ) და მე ერთი გზით მიმავალი მგზავრები გახლდით. ჩვენგან პირველმა, (შუამავალმა ﷺ), მიაღწია დანიშნულების ადგილს. მომდევნო (აბუ ბაქრი ﷺ) მიჰყვებოდა რა იმავე გზას, შეუერთდა პირველს. მე მინდა ვიყო მესამე და დავეწიო ჩემს მეგობრებს. ვშიშობ, თუკი მე ვიქნები იმაზე მეტის მოსურნე, ვიდრე მერგება, ვეღარ მოვახერხებ მეგობრებთან შეხვედრას. ან იქნებ შენ არ გინდა ვიყო მესამე აღნიშნულ გზაზე?“

- წმინდა ომარის ﷺ ერთადერთი მიზანი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება იყო. ის ისე მიზანმიმართულად მიემართებოდა აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რომ გზად არანაირ წინააღმდეგობასა და სიძნელეს არ უშინდებოდა, რადგანაც აღნიშნულ სირთულეებს მნიშვნელობასაც არ აძლევდა. სარწმუნოებრივი მიზნის მიღწევის გზაზე ის იყო მომთმენი და შემრიგებლური. შედეგადაც ყოველგვარ სიძნელეს უკან იტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ მას არაერთხელ უმახარობლა სამოთხის შესახებ, კეთილშობილი ომარი ﷺ, მაინც ასკეტური წესით ცხოვრებას ამჯობინებდა.

სიყვარული ალლაჰის შუამავლის ﷺ მიმართ

როდესაც პატივცემული ომარი ﷺ შუამავლისგან ﷺ უმრეზე წასვლის ნებას ითხოვდა, ქვეყნიერების თვალისჩინმა სთხოვა:

„- ჩვენ არ დაგვივიწყო შენს ლოცვებში ძმაო!“

შემდგომ ომარი ﷺ იხსენებდა:

„ამ თხოვნამ იმდენად გამახარა, წმინდა შუამავალს ﷺ ჩემთვის მთელი სამყარო რომ მოეცა ასე არ გამიხრდებოდა.“

რადგანაც, კეთილი ნება, რომელიც წმინდა შუამავლისგან ﷺ მოდიოდა, მთელი სამყაროს ფასი იყო.

აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ უყვარდა ალლაჰის შუამავალი ﷺ მეორე ჰალიფას ﷺ .

იმ პერიოდში ცხოვრობდა საჰაბე სახელად ფირასი, ﷺ რომელსაც ძალიან უნდოდა დაუფლებოდა უზენაესის შუამავალის ﷺ რაიმე ნივთს. ერთხელ, იგი შუამავალს ﷺ სახლში ზუსტად იმ დროს ეწვია, როდესაც წმინდა მუჰამმედი ﷺ სადილობდა. ფირასმა ﷺ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და სთხოვა ეჩუქებინა მისთვის თასი, რომლიდანაც ეხლახან საკვები მიირთვა. სამყაროთა სიამაყე ﷺ ხომ გულწრფელ თხოვნაზე უარს ვერავის ეუბნებოდა. ამიტომაც ფირასს ﷺ უბოძა ის, რაც სურდა. ომარი ﷺ, რომელიც შემდგომ დროდადრო სტუმრობდა ხოლმე ფირასს ﷺ, ყოველთვის სთხოვდა:

„აბა, მოიტანეთ ის მადლმოსილი თასი!“

„ის ზემზემის წყლით ავსებდა ხოლმე თასს და დანაყრებამდე იმით იკლავდა წყურვილს, მორჩენილ წყალს კი სახესა და წვერზე იპკურებდა”. (იბნი ჰაჯერ ელ–ისაბა 3/202)

ომარ ელ ფარუყ ﷺ

კეთილშობილი ომარი ﷺ ფლობდა ნიჭს, რომლის მეშვეობითაც მას შეეძლო უშეცდომოდ განესაზღვრა სიმართლე ტყუილისაგან, ან პირიქით. უზენაესი ალლაჰი წმინდა ყურანში ბრძანებს:

„ჰოი, თქვენ ვინც ირწმუნეთ! თუკი ალლაჰის შიში გექნებათ, ის მოგანიჭებთ ჭეშმარიტებისა და სიცრუ-ის გარჩევის უნარს...“ (სურა ენფალი 8/29)

როდესაც სამართლებრივი ხასიათის გადა-წყვეტილებების გამოტანის დრო დაუდგებოდა. მართლმორწმუნე ჰალიფა ﷺ, ალლაჰის მიმართ უდიდეს შიშსა და ძრწოლაში იმყოფებოდა. ახერხებ-და რა ჭეშმარიტების გარკვევას და იყო სამართლი-ანი მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლისას. ალლაჰის წყალობით ის ყოველთვ-ის სამართლიან გადაწყვეტილებას ღებულობდა. იცოდა სიცრუის გამოაშკარავება და გაურბოდა არასამართლიან გადაწყვეტილებებს. ცნობილია, რომ მისი აზროვნება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შეთანხმებული იყო წმინდა ყურანის

აიებთან. მისი ამ თვისების გამო საუბარია წმინდა ჰადისში:

„უზენაესმა ალლაჰმა ჭეშმარიტება და სამართლიანობა ომარის ბაგე-გულში აღბეჭდა!“ (თირმიზი მანაქიფ 17. 36 82) სხვა ჰადისებში ალლაჰის შუამავლი ﷺ გვაუწყებს შემდეგს:

„გარდასულ შთამომავლობათა შორის, იყვნენ ადამიანები, რომლებიც იღებდნენ ალლაჰის შთაგონებებს, თუკი ჩემს მიმდევრებში არის ასეთი ადამიანი, მაშინ იგი უსათუოდ ომარი ﷺ უნდა იყოს.“

აი, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული კეთილშობილი ომარი ﷺ. მან ჯუმა (პარასკევი) დღეს მიმბერზე ქადაგებისას უეცრად წამოიყვირა:

„ეი, სარია, მთებისკენ, მთებისკენ!“

ეს სიტყვები აზრობრივად სრულებითაც არ იყო ქადაგებასთან ახლო, თავად სარია ამ დროს მედინადან დაახლოებით ერთი თვის სავალ მანძილზე იბრძოდა. თუმცა, უზენაესმა ალლაჰმა ომარის ﷺ ხმას სარიას ყურამდე მიაღწევინა. კეთილშობილი ომარი ﷺ ალლაჰის წყალობით, უამრავი სულიერი ღირებულებით იქნა დაჯილდოებული. ის იქცა სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა სამართლის აღსრულების ნათელ მაგალითად. სადაც ის მივიდოდა იბლისი (სატანა) იქედან გარბოდა, რადგან ვერავის

ცდუნებას ვეღარ ახერხებდა, ვერავინ ბედავდა ბოროტებისა და ცოდვის ჩადენას. იქ, სადაც ჰალიფა ﷺ იმყოფებოდა, ადგილი არ ჰქონდა უსამართლობას, ადამიანთა დამცირებასა და შევიწროებას. ამიტომაც ალლაჰის შუამავალმა ﷺ უთხრა ომარს ﷺ:

„ვფიცავ ალლაჰს, მას, ვის ხელშიცაა ჩემი სული, ეშმაკი რომ შეგხვდეს გზად მიმავალს, აუცილებლად გვერდს აგიქცევს.“ (მუსლიმ ფედაილუს–საჰაბა 22)

ადამიანის სარკე მის მიერ ნაკეთები საქმეებია!

საუცხოოდ ბრძანა კეთილშობილმა ომარმა ﷺ:

„არ განსაჯოთ ადამიანი იმის მიხედვით, თუ რამდენად ლოცულობს და მარხულობს ის. დაუკვირდით იმას, თუ რამდენად გულწრფელად საუბრობს, რამდენად პასუხისმგებლიანია იგი და რამდენად უფრთხილდება მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. გაითვალისწინეთ ის, რომ ეს ადამიანი, საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულებისას, როგორ დამოკიდებულებას შეინარჩუნებს შარიათით გათვალისწინებული ნებადართულისა (ჰალალისა) და აკრძალულის (ჰარამის) მიმართ.“ (ზეიჰაქი სუნენულ ქუბრა, 6, 288; შუაბ, 4. 230, 326)

ის, რომ გულწრფელად შესრულებული ნამაზისა და მარხვის ვალდებულების დაცვა, ყოველგვარი ბოროტებისაგან დაგვიცავს - ღვთიური ჭეშმარიტება

და კეთილი უწყებაა მორწმუნეთათვის. მუ'მინის ღვთისმსახურება, რომელიც არ ცდილობს გამოსწორდეს ზნეობრივად და მორალურად, არ არის სულიერებით აღსავსე. ის დაცული არ არის ბოროტებისა და შეცდომებისგან, რომელიც გაურკვევლობას მოსდევს. ჰოი, თქვენ ხალხნო, რომელთაც იმის ნაცვლად, რომ სასურველი მიზნის მიღწევისათვის მონდომებისა და მეცადინეობის სურვილი გამოძრავებდეთ, ყველაფერი თვითდინებაზე მიგიშვიათ და ამბობთ:

- ჩვენ ალლაჰის მორჩილი ვართ და მისგან ველით შველას. ასეთი კატეგორიის ადამიანებზე კეთილშობილი ომარი ﷺ ამბობდა:

- თქვენ ის ხალხი ხართ, რომელნიც იმედოვნებთ სხვათა ქონებით სარგებლის პოვნას. თქვენ არა ხართ ალლაჰის მოიმედენი. ალლაჰის ჭეშმარიტი მონა–მსახური არის ის, ვინაც თავდაპირველად მოახერხებს თესლი ჩათესოს ნიადაგში, შემდეგ დაელოდოს და იმედი იქონიოს, რომ ალლაჰი მისცემს უხვ მოსავალს! (იბნი რეჯებ ჯამიულ ულუმ. 1, 441) როდესაც, პიროვნების დაუსწრებლად, მის ქებას დაიწყებდნენ წმინდა ომარი ﷺ მუდმივად სვამდა სამ შეკითხვას:

- გიმოგზაურიათ თუ არა იმ პიროვნებასთან ერთად, ვისაც აქებ, ხომ არ ყოფილხარ მისი მეზობელი, ან გქონია თუ არა მასთან სავაჭრო ურთიერთობა? თუკი თანამოსაუბრე დასმულ სამივე შეკითხვაზე

უარყოფით პასუხს იძლეოდა, ბრძენი ჰალიფა ﷺ უბრალოდ ურჩევდა ამ ადამიანს: „ამ შემთხვევაში ნუ შეაქებთ ადამიანს, რადგან თქვენ კარგად არ იცნობთ მას, ვისაც აქებთ!“ (გაზალი იჰია 3, 312).

ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის მიხედვით

„გჯეროდეს, შენი ცხოვრების სარკე,

მხოლოდ ქმედება იქნება ცალკე“

კეთილშობილი ომარის ﷺ ცხოვრების ერთ-ერთი პრიციპიც ეს გამონათქვამი გახლდათ. ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ზნეობრივი მხარე და ხასიათი გამომდინარეობს მისივე საქ-ციელში, მიდრეკილებებსა და ადამიანებთან ურთი-ერთობებში. ჰალიფა ﷺ ამის შესახებ ასე ამბობდა: „მანამ, ვიდრე საკუთარი თვალით არ ვიხილავ, თქვენ შორის საუკეთესოა ის, ვისაც ყველაზე ლამაზი სახელი აქვს. მას შემდეგ რაკი დაგინახავთ, ყველაზე სასიამოვნო პიროვნებად იმას მივიჩნევ, ვისაც ლამაზი ზნეობა ახასიათებს, ხოლო როცა მე გამოგცდით, ჩემთვის ყველაზე ახლობელი დარჩება ის, ვინც ყველაზე გულწრფელია!“ (იბნი ელ ჯევზი მანაქიფ 219)

ყურანით სხივმოფენილი ცხოვრება

კეთილშობილი ომარი ﷺ ამჟღავნდება საფუ-ძვლიან ცოდნას და იგი სრულიად მინდობილი იყო წმინდა ყურანს. მიზეზი, რის გამოც მან ისლამი

მიიღო, ყურანის აიების მოსმენით დატოვებული შთაბეჭდილება გახლდათ. ეს ამბავი მისი დის ფატიმას ﷺ სახლში მოხდა და მას შემდეგ იგი წმინდა ყურანის ძირფესვიანად გააზრების, მუდმივ რეჟიმში ცხოვრობდა. ცხოვრების ამგვარი ფორმა და წესი ჰალიფას ﷺ სიხარულისა და ბედნიერების შთაგონების წყარო გახლდათ. გადმოცემის მიხედვით, სურა „ბაყარას“ თორმეტი წლის განმავლობაში იზეპირებდა. დასრულების შემდეგ მადლიერების გამოხატულებ-ის ნიშნად, მან უზენაეს ალლაჰს მსხვერპლი შესწირა. (ყურტუბი ელ ჯემიი ტომი 1, 40) ეჭვგარეშეა, კეთილშობილი ომარი ﷺ, რომელიც მჭიდროდ იყო შერწყმული ყურანსა და სუნნეთთან, ფლობდა საუკეთესო ზნე-ობას. იგი იყო მაგალითი გულმოდგინებისა და თავგანწირვისა უზენაესი ალლაჰის გზაზე. ამასთანა-ვე, ის გახლდათ უდიდესი სიბრძნისმეტყველი და გონიერებით სახელგანთქმული რელიგიათმცოდნე. როდესაც კეთილშობილი ომარი ﷺ გარდაიცვალა, აბდულლაჰ ბინ მესუდმა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ასე განაცხადა: „მას თან გაჰყვა სიბრძნისა და ცოდნის ერთი მეცხრედი“. მის გვერდით მყოფმა საჰაბეებმა განაცხადეს, რომ მათ შორისაც არიან მცოდნე ადამიანები, მაშინ აბდულლაჰ ბინ მესუდმა დააკონკრეტა: „მე მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტი ცოდნა, მარიფათი. ყოველი მართლმორწმუნე მუსლიმის დედად წოდებული აიშა ﷺ საუბრობდა ცოდნის მიღების განსაკუთრებულ თავისებურებათა შესახებ და ამბობდა: „შეამკეთ თქვენი თავშეყრის

ადგილები ალლაჰის შუამავლის მიმართ ﷺ მისალ-მებით (სალავათით) და ომარ ბინ ჰატტაბის ﷺ შესახებ საუბრებით“. (იბნი ელ ჯევზი მანავი გვ. 276) აი, იმ ბრძნული გამოანთქვამებისა და სიბრძნისეული საიდუმლოებების რამდენიმე სრული ტექსტი, ალლაჰის მართლმორწმუნე მონა-მსახურს, კეთილშობილ ჰალიფა ომარს ﷺ ეკუთვნის, მან მიიღო სრულყოფილი აღზრდა თავად ალლაჰის შუამავალისგან ﷺ.

კეთილშობილი ომარის ﷺ გამოათქვამები

„უფრო ადვილია უარი თქვა ცოდვის ჩადენაზე, ვიდრე ინანო და ითხოვო პატიება მისი ჩადენის შემდეგ.“

„ჩემთვის უფრო სასიამოვნოა ურთიერთობა ადამიანთან, რომელმაც მიმითითა ჩემს ნაკლოვანებსა და შეცდომებზე“ (სუიუთი თარიჰულ–ჰულეფა გვ. 130).

„ის, ვინც ბევრს საუბრობს, ბევრ შეცდომას უშვებს. შესაბამისად მას სირცხვილის გრძნობა უსუსტდება. მას, ვისაც უსუსტდება სირცხვილის გრძნობა, ეკა-რგება სიფრთხილის გრძნობა და ვერ არჩევს საეჭვოს ნებადართულისგან. ამიტომაც ვარდება შარიათით აკრძალულში (ჰარამში). მას, ვინც არ ერიდება საეჭვოს, გულიუკვდება.“„ესრომდაფარულ,საიდუმლო,ღვთიურ მეცნიერებათა კატეგორიას არ განეკუთვნებოდეს, მე მოწმე გავხვდებოდი იმისა, რომ ამ ხუთი კატეგორიის ადამიანები დაივანებდნენ სამოთხეში:

1. ღარიბი, რომელსაც ჰყავს ბევრი შვილი, ყოველთვის გამოხატავს მადლიერებას ალლაჰის მიმართ და იჩენს მოთმინებას.

2. მართლმორწმუნე ქალბატონი, ვისითაც კმაყოფილია მეუღლე.

3. ქალბატონი, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე გულწრფელად და მორჩილად ჩააბარებს მეუღლეს კუთვნილ მეჰრს.

4. ადამიანი, ვისითაც კმაყოფილნი არიან მშობლები.

5. ადამიანი, რომელიც გულწრფელად მოინანიებს ჩადენილ ცოდვებს.”

„მოვიარე ყველა მეგობარი და მივხვდი, მივხვდი საუკეთესო მეგობრობის გაწევა ყველაზე უფრო ამაო საუბრისაგან თავშეკავებას შეუძლია.“(მოუარეთ ენას)

„ვნახე მრავალი სიმდიდრე და დოვლათი, მაგრამ არაფერი ყოფილა ეს კეთილი რჩევის გვერდით“.

„ვნახე მრავალი სიმდიდრე და დოვლათი, მაგრამ ვერ ვნახე, ვერაფერი ღირებული მსგავსად თავშეკავებულობისა და მცირედით დაკმაყოფილებისა.“

„ბევრ რამეს გავუსინჯე გემო, მაგრამ მოთმინებაზე უფრო გემრიელი არაფერი დამიგემოვნებია.“

„კეთილგონიერების ნახევარი, კეთილ ადამიანებთან ურთიერთობებშია.“

„გონივრული შეკითხვა ცოდნის, მიზანდასახულება კი ცხოვრების ნახევარია.”

„რა არის მიწიერი ცხოვრება მარადიულ ცხოვრებასთან შედარებით? არაფერი, თუ არა რაღაც კურდღლის ნახტომის მსგავსი”. (იბნი აბი შაიბე, მუსანნეფ 8–152)

„მას, ვინც მოიშლის უმიზეზოდ ლაყბობას, ებოძება სიბრძნე. მას, ვინც გადაეჩვევა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას, ებოძება სერიოზულობა და შემრიგებლობა.“

„მას, ვინც გადაეჩვევა ბევრ ჭამას, ებოძება ალლაჰის თაყვანისცემითა და კეთილი საქმეებით გამოწვეული ბედნიერება.“

„მას ვინც გადაეჩვევა ჭარბ სიცილს, ებოძება სულიერების მაღალ ხარისხზე ასვლა და ალლაჰის შიში.“

„მას ვინც გადაეჩვევა მიწიერი სიამეების სიყვარულს, ებოძება მარადიული სამყაროს სიყვარული.“

„მას ვინც სხვისი ნაკლოვანებების გამოვლინებას გადაეჩვევა, მიეცემა უნარი თავი დააღწიოს საკუთარ სულიერ ნაკლოვანებებს.“

„მას, ვინც უმიზეზო სიცილს გადაეჩვევა, მიანიჭებენ ძალას და დიდებას პატივთან ერთად.“

„ის, ვინც გადაეჩვევა ზედმეტ შეკითხვებს ალლაჰის განგებასთან დაკავშირებით, ის რაც მიუღწეველია

ადამიანის ბუნებრივი პოტენციალისათვის, დაცული იქნება ორპირობისგან.“

„ადამიანი სრულყოფილი და კეთილშობილი ვერ იქნება თუ კი მას გააჩნია:

გონება - კეთილგონიერების გარეშე,

ნიჭი - ცოდნის გარეშე,

გადარჩენა- შიშის გარეშე,

ძალაუფლება - სამართლიანობის გარეშე,

კეთილშობილება და ღირსება - ზნეობრივი აღზრდის გარეშე,

კეთილშობილება იმის გარეშე, რაც მობარებული გაქვს შესანახად (ამანათად),

სიმდიდრე - გულუხვობისა და გაჭირვებულზე მოწყალების გაცემის გარეშე,

სიღარიბე - მცირედით დაკმაყოფილების გარეშე,

კეთილშობილება - მოკრძალების გარეშე,

ზრუნვა ჭეშმარიტი რელიგიის გავრცელებისათვის, ალლაჰის დახმარების გარეშე.“

„შეუბრალებელი - შებრალებული არ იქნება;

ვინც შეცდომებს არ პატიობს, შეცდომები არ ეპატიება;

ვინც არ შეიწყალებს - არც თვითონ იქნება შეწყალებული;

ხოლო, ვინც არ ცდილობს თავი აარიდოს ცოდვას, ის არ იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაცული და ვერ მიაღწევს ღვთისმოშიშობას (თაყვა).“ (ბუჰარი, ელ–ედებულ მუფრად, გვ. 415 №371).

„დუა (ვედრება) ჩერდება დედამიწასა და ზეცას შორის და არ მიაღწევს ალლაჰამდე მანამ, სანამ არ წარმოითქმება ქება-დიდება-ალლაჰის და სალავათი ალლაჰის შუამავლის ﷺ მიმართ.“ (თირმიზი, ვითრი 21) „დაე ჩვენს ბაზარში იმან ივაჭროს, ვინც ითვალისწინებს ვაჭრობის წესებსა და კანონებს.“ (თირმიზი, ვითრი 21-487).

„პირისპირ შეაქო ადამიანი ეს იგივეა რომ საკუთარი ხელით გაგუდო იგი“. (იბნი ქუთეიბე ელ მაესაი გვ 145) კეთილშობილმა ომარმა ﷺ ამგვარი სასჯელი დაუწესა თავის გუბერნატორებს: „პირადად ჩემთვის, ყველაზე მთავარი, რასაც თქვენგან მოველი ნამაზის შესრულების ვალდებულება გახლავთ. ის, ვინც შეინარჩუნებს და ფრთხილად იქნება მისი დროულად შესრულების საკითხებში, შეინარჩუნებს რწმენასა და რელიგიას. ის, ვინც დაკარგავს და ვერ შეინარჩუნებს ნამაზს, ადრეულ პერიოდში რწმენასაც დაემშვიდობება“. (მუვატტა, ვაყთუ სსელათ 6) დიდებული მსაჯული და მოსამართლე-ყადი შურეიხი თავის წერილში კეთილშობილ ომარს ﷺ ეკითხებოდა, თუ როგორ გამოეტანა სამართლებრივად სწორი განაჩენი. კეთილშობილმა ომარმა ﷺ მას ასე უპასუხა: „გადაწყვეტილება გამოიტანეთ ალლაჰის წიგნის შესაბამისად. ვინიცობა და იქაც ვერ აღმოაჩინო პასუხი,

გამოსატანი გადაწყვეტილების საილუტრაციოდ, პასუხი ალლაჰის შუამავლის ﷺ სუნნეთთა კრებულში ეძიეთ და დაეფუძნეთ. თუკი ვერც ყურანსა და სუნნეთში მიაგნებთ სასურველს, მაშინ ღვთისმოშიშ მუსლიმ სწავლულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაეყრდენით და მათი აზრის გათვალისწინებით გამოიტანეთ გადაწყვეტილება. თუკი აქაც ვერ მიაგენით სამართლებრივი ვერდიქტის საფუძველს, მაშ გამოიტანეთ გადაწყვეტილება, თუ გნებავთ საკუთარი გადაწყვეტილებისდა მიხედვით, ან საერთოდ თავი შეიკავეთ. ჩემი აზრით, თქვენთვის უკეთესი იქნებოდა, თუკი აღნიშნული საკითხის სირთულიდან გამომდინარე, საერთოდ თავს შეიკავებდეთ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისგან. ეს არის და ეს. (ნესაი ყუდათ, 11.3)

„პირადად მე, სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის განსაკუთრებულ განსხვავებას ვერც კი ვამჩნევ. რადგან უპირატესობას არც ერთს ვანიჭებ და არც მეორეს.“

„ყველაზე გონიერი ის ადამიანია, ვინც ღირსეულად აფასებს ხალხის ქცევას.“

‘’არასდროს გადადო ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია, თუკი საქმე ერთხელ გადაიდო იგი აღარასოდეს მობრუნდება”.

“ვინც არ იცნობს ბოროტებას, ადვილად გაებმება მის ხაფანგში!”

„ეცადეთ ნაკლებად იყოთ მიდრეკილი ყოველი მიწიერისადმი, რათა იცხოვროთ თავისუფლად (არასოდეს გახდეთ წუთისოფლის ტუსაღნი)”.

„თუკი თქვენ არ ცხოვრობთ ისე, როგორც გჯერავთ, ამ შემთხვევაში, თქვენ დაიწყებთ იმის დაჯერებას, როგორაც ცხოვრობთ!”

„თქვენ რომ შეძლოთ ადამიანების გამოსწორება თავდაპირველად საკუთარი თავი უნდა გამოასწოროთ!”

„ყველაზე ბრიყვი და გიჟი არის ის, ვინც სამუდამო სასუფეველში, მარადიულ სიცოცხლეში მიწიერ კეთილდღეობას გაცვლის. გაცვლის იმაში, რაც დროებითი სარგებლობისთვისაა მოცემული.

„კეთილმოქმედების ხარისხი განისაზღვრება მისი სწრაფად და გადაუდებლად გაკეთებით.“

„ჩვენი სინდისი, ჩვენს მიერვე ჩადენილი სამარცხვინო საქციელის მდუმარე მოწმეა”.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ უპასუხა მას, ვინც მოვიდა და ჰკითხა, თუ რა იყო სიკეთე: „მიმართე შენს გულს! სიკეთე - არის ის, რაც გაწყნარებს და გინმტკიცებს გულს, თან გეუბნება; ეს ქმედება უკიდურესად აუცილებელია შენი გულსათვის! ცოდვა - ეს არის ის, რაც გაფორიაქებს და შენს გულს მოსვენებას არ აძლევს. ასეა მაშინაც კი, როცა მიუხედავად იმისა, რომ შენი გარშემომყოფნი გიკიჟინებენ მის ჩადენას, იგი კი თავად გიღვივებს ეჭვს, გაორჭოფებს და გაფიქრებს მასზე.” (იბნი ჰანბელი 4–227–228)

„ის, ვინც ინახავს საკუთარ საიდუმლოს, ფლობს საკუთარ თავს".

„იყავი ძლიერი, ისე რომ არ გამოავლინო სიმტკიცე ძალადობითა და სისასტიკით, იყავი ლმობიერიც, მაგრამ არა სუსტი".

კეთილშობილი ომარი ﷺ რომელსაც ახასიათებდა უმაღლესი ხარისხით თავისებურებანი სულიერების თვალსაზრისით და იყო ღირსეულთაგან ღირსეული, ამგვარ დუას აღავლენდა;

"ო ღმერთო! შენგან მოველი დახმარებას სწორედ მაშინ, როდესაც მოულოდნელად მომთხოვ პასუხს იმის თაობაზე, რაც მომანდე და როცა უხერხულობა ჩემი, შენს მიმართ პიკს მიაღწევს, რადგან სათანადოდ ვერ შევძლებ ანგარიშის წარდგენას შენს წინაშე, მაშინ შემიწყალე ჩემო უზენაესო. ყოველი დღის დასასრულს, იგი საკუთარ თავს ეკითხებოდა:" დღეს რა ჩაიდინე ომარ"? ეს სინდისის სასამართლო, ყოველ საღამოს გრძელდებოდა და იგი მუდმივ ქცევად ექცა.

ბუნებრივია, თვისობრიობის მიხედვით ამ საქციელში სამაგალითო ფორმის დარიგებას უნდა მივაგნოთ, რათა მუხლჩაუხრელად ვტკეპნოთ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა. არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა დავივიწყოთ მართლმორწმუნე ჰალიფა ომარი ﷺ და გულით ვატაროთ მისი სახელი. ის ხომ ალლაჰის შუამავლის ღვთიური მადლმოსილებით აღსავსე აღზრდის საფუძველზე იქცა ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავად, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე

ცის კაბადონზე გაჩენილი თანავარსკვლავედისა. ის გახდა უზადო მაგალითი მომდევნო თაობათათვის ცხოვრებისეულ საკითხებში. ყოველდღიურ მოქმედებებში, მუდმივად ანგარიშვალდებული საკუთარის სინდისისა და ალლაჰის წინაშე. იგი დღესაც მოგვიწოდებს შევეკითხოთ საკუთარ თავს: რა გააკეთე შენ დღეს ალლაჰის ხათრისთვის? ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ თავი დავაღწიოთ შეცდომებს, უგულისყურობასა და სიზარმაცეს საკუთარ ვალდებულებების შესრულებისას. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე სასულიერო ხასიათის საკითხებს. უნდა გავცეთ საკუთარ თავს პასუხი მანამ, სანამ უზენაეს ალლაჰს თავისთან არ მივუწვევივართ.

დაე სამყაროთა უზენაესმა შემოქმედმა შეგვიმსუბუქოს განკითხვის დღის საშინელებათა ხილვა მუდმივ სამყაროში! დაე ღმერთმა დაგვასაჩუქროს თავისი წყალობით, სიცოცხლე გავატაროთ ისლამით გაჯერებულ ატმოსფეროში. დაე, აგვავსოს მან ზნეობრივი მშვენიერებითა და კეთილი საქმეებით, მისივე კმაყოფილების მოსაპოვებლად. დაე უზენაესმა ალლაჰმა სამყაროთა გამჩენმა გააჯეროს ჩვენი გულები ბედნიერების უწყებით, რაც მუდმივ სამყაროში უსასრულოდ ცხოვრებით დაგვირგვინდება! დაე უზენაესმა ალლაჰმა გვარგუნოს კეთილშობილი ომარის ﷺ მსგავსი ნიჭით გავარჩიოთ ჭეშმარიტება და ტყუილი ერთმანეთისაგან!

ამინ.

კეთილშობილი ოსმან ბინ აფფანი ზინ-ნურეინი ﷺ

მმართველობის პერიოდი (644–656)

კეთილშობილი ოსმანი ﷺ გახლდათ ოთხ მართლ-მორწმუნე ჰალიფათაგან რიგით მესამე, ჰალიფა, რომელსაც ერგო პატივი საკუთარი სიცოცხლითა და ქონებით მიჰყოლოდა ალლაჰის შუამავალს ﷺ და ღვთის ნებითვე გაება მასთან ნათესაური კავშირი. როგორც ალლაჰის შუამავლის, ისე მართლმოწმუნე ჰალიფების – აბუ ბაქრისა და ომარის პერიოდშიც და მაშინაც კი, როდესაც თავად გახდა ჰალიფა, მან სახელი გაითქვა როგორც დიადი საქმის მკეთებელმა.

ზინ-ნურეინი

კეთილშობილი ოსმანი ﷺ გახდა ღირსი პატივი-სა, ყოფილიყო ალლაჰის შუამავლის ქალიშვილის-კეთილშობილი რუქიეს ﷺ მეუღლე. რუქიეს ﷺ გარდა-ცვალების შემდგომ, იგი სასოწარკვეთილებასა და ნაღველში ჩაიძირა. როდესაც შუამავალმა ﷺ მას ჰკითხა მიზეზი მისი ესოდენ უზომო მწუხარებისა,

კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ მიზეზად მეუღლის გარდაცვალების გამო მიღებული სულიერი ტრავმა დაასახელა. „ო, ალლაჰის შუამავალო ﷺ! ის, რაც მე თავს დამატყდა, კაცთაგან არავის დამართნია, როდესაც თქვენი ქალიშვილი რუქიე ﷺ გარდაიცვალა, ჩვენ შორის ნათესაური კავშირიც გაწყდა!“ ფრიად პატივცემული ოსმანი ﷺ კატეგორიულად უარჰყოფდა თავისი ნათესავების შემოთავაზებებს ხელახალი ქორწინების თაობაზე: „აბა, მითხარით ვისი ოჯახის სიძედ წარმოვიდგინო საკუთარი თავი, ალლაჰის შუამავლის ﷺ სიძეობის შემდეგ და ვისზე დავქორწინდე მას შემდეგ, როცა მისი ქალიშვილის ﷺ მეუღლედ ვითვლებოდი?” ეს ფიქრები მასზე უდიდეს სულიერ ზეგავლენას ახდენდა, იგი იტანჯებოდა. თავად ალლაჰის შუამავალი ﷺ, არანაკლებ მძიმედ განიცდიდა, ქალიშვილის დაღუპვის შედეგად, ოსმანის ﷺ ულამაზესი ოჯახის დანგრევას და გრძნობდა იმ არაჩვეულებრივად დიდ სიყვარულს, რომელსაც კეთილშობილი ოსმანი ﷺ მის მიმართ ამჟღავნებდა. მან თავისი უმცროსი ქალიშვილი უმმუ გულსუმი ﷺ მიათხოვა. იმის გამო, რომ კეთილშობილი ოსმანი ﷺ სხვადასხვა პერიოდში, უზენაესის წყალობით, ორჯერ გახდა ღირსი გამხდარიყო ალლაჰის შუამავლის ﷺ სიძე: მას ზინ-ნურეინი შეარქვეს, რაც ორი მნათობის მფლობელს ნიშნავს. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც უმმუ გულსუმიც ﷺ გარდაიცვალა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ გამოხატა რა განსაკუთრებული სიყვარული და მეგობრული სიახლოვე ოსმანის ﷺ

მიმართ, განაცხადა: „მესამე ქალიშვილიც რომ მყავდეს, იმასაც უსათუოდ შენ მოგათხოვებდიო.“ რადგანაც კეთილშობილი ოსმანი ﷺ ბრძენი, შორსმჭვრეტელი, გულუხვი, ყველასათვის საყვარელი, ღვთიური შემეცნებისა და მგრძნობიარე გულის პატრონი, თავისი ლმობიერი ხასიათითა და განსაკუთრებული მოკრძალებით ალლაჰის შუამავლის ﷺ შექების ობიექტი ხდებოდა. შუამავალი ﷺ ამბობდა, რომ ყველა სხვა საჰაბეებისგან განსხვავებით, ზნეობრივი თვალსაზრისით, მას ოსმანი ﷺ ჩამოჰგავდა. გარდა ამისა, საჰაბეთაგან მას ვერავინ შეედრებოდა სიტყვაკაზმულობასა და ორატორობაში, თუმცა იგი ყოველთვის საუბრობდა მოკლედ და კონკრეტულად.

მორცხვობის სიმბოლო

კეთილშობილი ოსმანი ﷺ ყოვლად სამაგალითო პიროვნება იყო. მას ერთი მეტად გამორჩეული თვისება ახასიათებდა, იგი საოცრად გააქტიურებული სიმორცხვის გრძნობით გამოირჩეოდა. მაგალითად, ერთ დღეს ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ შუამავალი ﷺ და აიშა ﷺ, აბუ ბაქრმა ﷺ ითხოვა შესვლა. მასთან ერთად ოთახში შევიდნენ ომარი ﷺ და საად ბინ მალიქი ﷺ. კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ როდესაც ოთახში შესვლის ნება ითხოვა, ალლაჰის შუამავალი ﷺ ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა და ყოველი მართლმორწმუნის დედა ზნეკეთილ აიშას ﷺ კი ანიშნა ოთახიდან გასულიყო. კეთილშობილი ოსმანი

ﷺ ოთახში შემოვიდა, იქ მცირე ხანს ისაუბრა, შემდეგ ყველას გამოემშვიდობა და წავიდა. როდესაც აიშამ ﷺ ალლაჰის შუამავალს ﷺ ჰკითხა, თუ რატომ არ შეიცვალა მან ფორმა, მაშინ, როდესაც ოთახში მამამისი და სხვა საჰაბეები შემოვიდნენ და რატომ გაიმართა წელში როცა ოსმანი ﷺ მოვიდა. თანაც ამასთან, ერთად, რატომ უბრძანა მას ოთახიდან გასულიყო. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ასე მიუგო: „აბა, მითხარი, როგორ არ უნდა განვიცადო მოკრძალება ადამიანის მიმართ, რომლის წინაშე თავად ანგელოზებიც მორცხვად არიან?! ვფიცავ ალლაჰს! ანგელოზებს ოსმანის ﷺ რცხვენიათ, ისევე როგორც მათ რცხვენიათ ალლაჰის შუამავლისა ﷺ. იმ შემთხვევაში, შენ რომ ოთახში დარჩენილიყავი, იგი საერთოდ არ დაილაპარაკებდა და წასვლამდე თავსაც არ აიღებდა“. კეთილშობილი ოსმანი ﷺ, რომელიც გახლდათ მაღალი ზნეობით აღზრდილი ადამიანისა და მორცხვობის სიმბოლო ხალხს ჭეშმარიტების გზისკენ მოუწოდებდა და ასე ამბობდა; „თვალი მოარიდო აკრძალულს, ცდუნებისაგან თავის დასაცავად შესანიშნავი საშუალებაა!” როგორც ენესი ﷺ გადმოგვცემს, ერთხელ თურმე იგი ოსმანთან ﷺ მიდიოდა. გზად უცნობ ქალბატონს გადაჰყროდა, მისმა სილამაზემ ენესი ﷺ მოხიბლა. ქალბატონზე ფიქრებით გართულმა ოსმანის ﷺ სახლამდე მიაღწია და მასთან შევიდა. ოსმანმა ﷺ შეხედა თუ არა ჰკითხა; „ენეს, შენ აქ შემოდი ისე, რომ შენს თვალებში აშკარად იკითხება საწინააღმდეგო სქესისადმი ლტოლვა და „ცდუნება“. ენესი ﷺ ამ სიტყვებმა შეაშფოთა, ნუთუ ალლაჰის შუ-

ამავლის ﷻ გარდაცვალების შემდგომაც გრძელდება გამოცხადებანი? არა, უპასუხა ოსმანმა ﷺ: ეს არის მართებული აზროვნებისა და შორსმჭვრეტელობის შედეგი. მშვენივრად არის ნათქვამი წმინდა ჰადისში ოსმანის ﷺ უნიკალური ზნეობისა და ზრდილობის შესახებ, ამ კეთილშობილ საჰაბეს ﷺ ხომ უხვად ჰქონდა მომადლებული ყოველივე ეს უზენაესი ალლაჰისგან. „ერთხელ კეთილშობილმა ალიმ ﷺ ალლაჰის შუამავალს ﷺ აბდესისთვის (ლოცვის წინ რიტუალური განბანვა) წყალი მიუტანა და ჰკითხა: „ო, ალლაჰის შუამავალო ﷺ! ვინ იქნება პირველი ადამიანი, რომელიც განკითხვის დღეს პირველად წარსდგება უზენაესი ალლაჰი წინაშე?„ ალლაჰის შუამავალმა ﷺ მიუგო: „მე! ის ადამიანი ვიქნები მე, რომელიც წარვსდგები უზენაესის წინაშე და დავყოფ იქ რამდენ ხანსაც მოვისურვებ. შემდგომ კი იქედან ცოდვებისგან სრულიად განთავისუფლებული გამოვალ“. მაშინ კეთილშობილმა ალიმ ﷺ მომდევნო შეკითხვა დასვა; ალლაჰის შუამავალო ﷺ, შენს შემდეგ ვინ წარსდგება უზენაესის წინაშე? „მომდევნო აბუ ბაქრი ﷺ იქნება. ისიც იმდენ ხანს დაჰყოფს ალლაჰის წინაშე, რამდენ ხანსაც მოესურვება და ცოდვებისგან სრულიად განთავისუფლებული იქნება“. კეთილშობილი ალი ﷺ კვლავ განაგრძობდა შეკითხვებს; შემდეგი, ალლაჰის შუამავალო ﷺ, შემდეგი ვინ იქნება? „შემდეგი ომარი ﷺ იქნება და იმასაც იგივე ბედი ეწვევა, რაც აბუ ბაქრს ﷺ“ მიუგო ალლაჰის შუამავალმა ﷺ. კეთილშობილი ალი ﷺ არ ცხრებოდა და მოკრძალებით კვლავ

შეეკითხა: „ამჯერად ვისზე შეჩერდება რიგი? მისმა უდიდებულესობა შუამავალმა ﷺ უთხრა რომ; „შემდეგი იქნებოდა თვითონ“. ალის ﷺ გაუკვირდა და იკითხა „კეთილშობილი ოსმან ბინ აფფანი ﷺ?“ ამაზე შუამავალმა ﷺ მიუგო: „ოსმანი ﷺ იმდენად მაღალი ხარისხით ფლობს სირცხვილის გრძნობას და მოკრძალებას, მე ვთხოვე უზენაეს ალლაჰს, რათა დაეკმაყოფილებინა ჩემი შუამდგომლობა და არ მოეხმო ოსმანი ﷺ თავისთან. მანაც კეთილ ინება და ოსმანს ﷺ დაუსწრებლად უწყალობა ყოველი ცოდვის შენდობა”. (მუჰამმედ არრაფი ალ ყაზვინი ეთ–თედვინ ფი ეხბარი ყაზვინ 1, 114)

იქ, სადაც არ ღებულობენ ალლაჰის შუამავალს, ﷺ მე არაფერი მესაქმება

კეთილშობილი ოსმანი ﷺ სულიერად შესისხლ-ხორცებული იყო ალლაჰის შუამავალზე ﷺ, ერთი სიტყვით, მას მთელი გულით უყვარდა იგი, მისი მინიშნებაც კი ოსმანისთვის ﷺ კონკრეტული ბრძა-ნების ტოლფასი იყო და იმის შესასრულებლად ნებისმიერ წინააღმდეგობას იტანდა. მაგალითად, ჰუდეიბიეს დღეს, ოსმანი ﷺ წმინდა შუამავლმა ﷺ მექაში, მუსლიმთა ინტერესების დამცველად წარ-გზავნა. მან მუშრიქებს განუმარტა, რომ საჰაბეებს უმრეს შესრულება ჰქონდათ განზრახული. არაბმა წარმართებმა, რომლებიც მექაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ, მორწმუნეებს უარი განუცხადეს, თუმცა

ოსმანს ﷺ შესთავაზეს: „აი, შენ თუ გინდა, შეგიძლია ახლავე შეასრულო თავაფი (ქააბას გარშემოვლა)“. ოსმანმა ﷺ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ერთგულება ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ მიმართ, შემოთავაზებულ წინადადებას კი ასე უპასუხა: „მე არ გავაკეთებ ამას მანამ, სანამ შუამავალი ﷺ არ შემოუვლის ქააბას! მე ვეწვევი ბეითულლაჰს მხოლოდ მის შემდეგ. იქ, სადაც არ ღებულობენ მას, მეც არაფერი მესაქმება!” (აჰმადი, 4–324) როდესაც მულიმანებში გავრცელდა ხმა, რომ ოსმანი ﷺ მოკლეს და ის შეჰიდი გახდა ჰუდეიბეში მდუმარება ჩამოწვა. ალლაჰის შუამავალმა ﷺ განუმარტა საჰაბეებს, რომ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ისინი იბრძოლებდნენ წარმართების წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს, იგი ერთგულების ფიცს დებდა საჰაბეთა წინაშე და რადგანაც ოსმანი ﷺ მათთან არ იმყოფებოდა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ ორივე ხელი ერთმანეთს ჩასჭიდა და უზენაესს შეჰღაღადა: „ო, ალლაჰო! ჩათვალე ეს ოსმანის ﷺ ფიცად. უეჭველია, რომ იგი გემსახურება შენ და ემსახურება ალლაჰის შუამავალს ﷺ“. მალე მუშრიქთაგან წარმომადგენელი იქნა გამოგზავნილი, რათა მუსლიმებთან ოფიციალური შეთანხმება გაფორმებულიყო. ოდნავ მოგვიანებით კი მას ფეხდაფეხ მოჰყვა კეთილშობილი ოსმანი ﷺ, საღ-სალამათი და სრულიად უვნებელი.

კეთილშობილებისა და სულიერი სიუხვის მზე

ოსმანის ﷺ სიყვარული წმინდა შუამავლის ﷺ მიმართ გახლდათ ერთგულების აშკარა გამოვლინება, რაც მთელი უმმეთისათვის სამაგალითოდ რჩება, ისევე როგორც მისი სულის არაჩვეულებრივი სიდიადე. იგი თვლიდა:

„ყველაზე დიდი სიმდიდრე მადლიერებაა. ხო-ლო, ალლაჰის მიმართ მადლიერება, უხვად გაცემული მოწყალებით გამოიხატება“.

ეს უმშვენიერესი სიტყვები არასოდეს განშორებია მის კეთილ საქმეებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, მან ასობით მონა გაანთავისუფლა და სხვებსაც დაახლოებით ამდენივე გაანთავისუფლებინა. თებუქში, სამხედრო ოპერაციის დროს, კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ სამასი საბრძოლო აქლემი მოამზადა, აღჭურვა და საჩუქრად გადასცა მუსლიმთა არმიას. გარდა ამისა, მან კიდევ ათასი დინარი შესწირა აღნიშნულ სამხედრო კამპანიას. ამის შესახებ, გამოხატა რა თავისი კეთილგანწყობა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ, განაცხადა: „ამის შემდგომ, ოსმანმა ﷺ რაც არ უნდა ჩაიდინოს, მას არავითარ შემთხვევაში ზიანს არ მიუტანს, რადგან აღნიშნული შემოწირულობა, თავისი სიუხვითა და გულწრფელობის გამოხატულების კუთხით, ალლაჰის გზაზე უდიდებულესია“.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: ეს მოხდა მაშინ, როდესაც კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ ჰიჯრის შემ-

დეგ მედინაში დაიდო ბინა. აქ მან გამოარკვია, რომ მუსლიმები სასმელი წყლის უქონლობის გამო უმძიმეს პირობებში ცხოვრებდნენ. მედინას სასმელი წყლის მოპოვების ყოველი წერტი უვარგისი იყო, რადგან ყოველი ჭის ფსკერიდან მლაშე და უვარგისი წყალი ამოდიოდა. მხოლოდ და მხოლოდ რუმის სახელით ცნობილ ჭაში მოიპოვებოდა მტკნარი და სასმელად ვარგისიანი წყალი. მაგრამ, სამწუხაროდ, სიცოცხლისათვის ესოდენ აუცილებელი ჭა, მუსლიმთათვის ხელმიუწვდომელი იყო. იგი ერთ ებრაელს ეკუთვნოდა, ეს უკანასკნელი კი, არსებული სიტუაციიდან, გამომდინარე მეტად სარფიანად ვაჭრობდა სასმელი წყლით, იუმჯობესებდა რა საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ერთ დღეს ხალხს მიმართა: „ვინ ისურვებს შეისყიდოს რუმის ჭა და ვინ გახდება რჩეული თავისი საქციელის შესაბამისად გახდეს ალლაჰის მიერ დალოცვილი მოჩუხჩუხე ნაკადულის ღირსი სამოთხეში, ისე, რომ გამოსყიდვის შემდგომ, ჭის წყლით სარგებლობის უფლება ჰქონდეს თანაბრად ყველა მუსლიმს?” ანუ იმ ადამიანს, რომელიც გამოისყიდდა ჭას, ისევე უნდა ესარგებლა ამ ჭით, როგორც დანარჩენებს. კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ მყისვე მიიღო ჭის გამოსყიდვის გადაწყვეტილება, მაგრამ ებრაელმა ჭის გაყიდვაზე ცივი უარი განაცხადა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ოსმანმა ﷺ მიაღწია იმას, რომ ჭის ნახევარ წილს გამოისყიდდა. ამის შემდეგ ჭით სარგებლობა ებრაელებსა და მუსლიმებს

დღეგამოშვებით შეეძლოთ. საბოლოოდ, ოსმანის ﷺ კეთილგონიერებამ სძლია და მან უმტკივნეულოდ შეძლო ჭის მეორე ნახევრის შესყიდვაც. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ოსმანს ﷺ ჰკითხა: „ხომ არ გასცემდი აღნიშნულ ჭას, რათა მუსლიმებმა შემდგომშიც უმტკივნეულოდ შეძლონ წყლით სარგებლობა?!“ ბუ-ნებრივია, ოსმანმა ﷺ მიიღო შუამავლის ﷺ წინადადება და რუმის სახელობის ჭა იმ დღის შემდეგ მუსლიმების საკუთრებად იქცა. ამგვარად კეთილშობილი ოსმანის ﷺ გამჭრიახობისა და გულმოწყალების შედეგად მედინელმა მუსლიმებმა წარსულს ჩააბარეს უწყლობით გამოწვეული პრობლემები. გადმოცემების თანახმად, კეთილშობილი ოსმანი ﷺ საოცარ მოკრძალებას იჩენდა ამ ფაქტის შემდეგაც. ისიც, სხვათა მსგავსად, წყლის რიგში დგებოდა, იმ წყლისა, რომლის გამოსყიდვაც თავად მოახერხა. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, მუსლიმანის ეს საქციელი მიზეზი გახდა შემდეგი აიების ზეგარდამოვლენისა; „(იმ დღეს მორწმუნეებს განუცხადებენ); ო, (ალლაჰის მიმართ თაყვანისცემით) ნეტარებას მიღწეულო სულო! თავად კმაყოფილი დაუბრუნდი შენგან კმაყოფილ ღმერთს. შემოდი ჩემს ერთგულ მონა–მსახურებში და შემოდი ჩემს სამოთხეში” (სურა ფეჯრ: 89-27/30). როდესაც ისლამმა საკმაოდ მოიკიდა ფეხი და მუსლიმთა რაოდენობაც მედინაში საგრძნობლად გაიზარდა, მესჯიდი ნებევი (შუამავლის მეჩეთი) მომლოცველებს ვეღარ იტევდა. ხალხმა მეჩეთის ირგვლივ კარვების გაშლა დაიწყო. ალლაჰის

შუამავალმა ﷺ მოუწოდა: ის, ვინც ერთი მკლავის მანძილზე გააფართოებს ჩვენს მეჩეთს, სამოთხეში დაიმკვიდრებს ადგილს!“ კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ მაშინვე განაცხადა: „ო, ალლაჰის შუამავალო ﷺ, მთელი ჩემი ქონება მსხვერპლად იყოს შემოწირული, მე საკუთარ თავზე ვიღებ მეჩეთის გაფართოებას”. ამ ფაქტის გამო, სამყაროს შემდეგი აია მოევლინა:

„უეჭველად, ალლაჰის მეჩეთებს (მესჯიდებს) მხოლოდ ის აშენებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი და უკანასკნელი (განკითხვის) დღე, სრულფასოვნად ლოცულობს ნამაზს (ლოცვას), იხდის ზაქათს და არ(ავისი) ეშინია გარდა ალლაჰისა. იმედია, სწორედ ესენი იქნებიან ჭაშმარიტ გზაზე მავალთაგანნი“ (სურა თევბე; 9-18). კეთილშობილი ალი ﷺ როდესაც ქორწინებას აპირებდა ფატიმა ეზ-ზეჰრაზე ﷺ –ალლაჰის შუამავლის ﷺ უსაყვარლეს შვილზე, გადაწყვიტა ბაზარზე გაეტანა და გაეყიდა თავისი საბრძოლო აღჭურვილობა, რათა მიღებული თანხით დაეფარა საქორწინო ხარჯები. როდესაც კეთილ-შობილმა ოსმანმა ﷺ ბაზარზე გამოტანილ ალის ﷺ აღჭურვილობას მოჰკრა თვალი, გამყიდველი თავისთან იხმო და შეეკითხა:

- რა თანხას ითხოვს ამ აღჭურვილობას პატრონი?

- 400 დირჰემს,–უპასუხა ვაჭარმა.

ამის შემდეგ მან აღნიშნული საჭურველი და 400 დირჰემი წმინდა ალის ﷺ გაუგზავნა და ვა-ჭარს ასე დააბარა: „არავინ არის ღირსი ატაროს ეს

საჭურველი შენს გარდა. გამოიყენე ეს 400 დირჰემი საქორწინო ხარჯებისათვის და მოგვიტევე ჩვენ“. ძალზე საინტერესოა ეს შემთხვევა, რომელშიც იკითხება ღრმად პატივცემული ოსმანის ﷺ - მზის კეთილშობილებისა და გულუხვობის სულიერი სიმაღლე და შინაგანი სამყაროს სიდიადე.

ერთხელ, კეთილშობილი აბუ ბაქრის ﷺ მმართველობის პერიოდში, მედინაში საკვები პროდუქტების კუთხით კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს დამასკოდან ქარავანი მოვიდა. ქარავნის შემადგენლობაში არსებული 100 აქლემი ხორბლით იყო დატვირთული, რომელიც კეთილშობილ ოსმანს ﷺ ეკუთვნოდა. როდესაც ხორბლით დატვირთული აქლემები ხალხმა დაინახა, მეპატრონეს მიაშურეს და არსებულ ფასთან შედარებით შვიდჯერ მეტი შესთავაზეს. ისინი სთავაზობდნენ კილოგრამ ხორბალში შვიდჯერ მეტს, როცა ფასი ერთი დირჰემი ოყო. კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ ხალხს განუცხადა: „არავითარ შემთხვევაში, არის ისეთი, ვინც უფრო მეტს მომცემს, ვიდრე თქვენ, მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს მას მივყიდო!” ასჰაბი ქირამი ასეთ პასუხს ნამდვილად არ ელოდა. ისინი გულებდათუთქულნი მივიდნენ აბუ ბაქრთან ﷺ და მომხდარის შესახებ დაწვრილებით მოახსენეს მართლმორწმუნე ჰალიფას ﷺ. აბუ ბაქრმა ﷺ, იგრძნო რა ოსმანის ﷺ ნათქვამში ღრმა აზრი, მომჩივნებს ასე მიმართა: „ნუ იფიქრებთ ცუდს ოსმანზე ﷺ! ის ალლაჰის შუამავლის ﷺ სიძეა, მისივე მეგობარი და სამოთხის ბინადარი. შესაძლოა,

თქვენ მისი სიტყვები სათანადოდ ვერ გაიგეთ“. ამის შემდეგ ჰალიფა ასჰაბი ქირამთან ერთად კეთილშობილ ოსმანთან ﷺ მივიდა და უთხრა; „ო ოსმან! ასჰაბი ქირამი ძალიან გაანაწყენა შენმა ნათქვამმა“. კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ უპასუხა: „ო ჰალიფავ! ისინი მთავაზობდნენ შვიდ დირჰემს ერთ კილოგრამში, მაშინ როცა არსებობს უფრო გულმოწყალე და გულუხვი, რომელიც შვიდას დირჰემს იძლევა ერთის ნაცვლად. ბუნებრივია, ჩვენც მას მივცემთ ხორბალს, ვინც მასში შვიდასჯერ მეტს გადაგვიხდის“. ამ სიტყვების შემდეგ კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ ყოველგვარი საზღაურის გარეშე, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა, ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, მთლიანად დაარიგა ხორბალი. არ დარჩენილა არც ერთი ღარიბი ან თუნდაც უბრალო მუსლიმი მედინელი, ხორბლის გარეშე, ხოლო დამასკოდან მოსული 100 აქლემი მთლიანად მსხვერპლად შესწირა ალლაჰს, შესაბამისად ყურბნის ხორციც მუსლიმებს ერგოთ. ოსმანის ﷺ კეთილშობილებით გულგამთბარი აბუ ბაქრი ﷺ, მას შუბლზე ეამბორა და უთხრა: „მე თავიდანვე ვიგრძენი შენი სიტყვების ღრმა აზრი, რაც ვერ ამოიკითხეს საჰაბეებმა“.

ყურანზე შეყვარებული

კეთილშობილი ოსმანის ﷺ საუკეთესო თვისებებისა და მაღალი ზნეობის საფუძველი გახლ-

დათ ის, რომ მისი სულიერება ჩამოყალიბებული იყო წმინდა ყურანის მადლმოსილი ზემოქმედებით, რომელიც ზეშთაეგონა ალლაჰის შუამავლის ﷺ დალოცვილ გულს. კეთილშობილი ოსმანი ﷺ მართლაც უსაზღვროდ იყო ყურანს შეყვარებული. იგი ამბობდა: „წუთისოფელში სიყვარულსა და ხოტბის შესხმის სამი განსხვავებული რამ გვხდება: გამოკვებო მშიერი, ტანსაცმლით უზრუნველყო ის, ვინც ამას საჭიროებს და იკითხო წმინდა ყურანი“. კეთილშობილი აბუ ბაქრი ﷺ, ჰალიფობისას გახდა ინიციატორი ავტორიტეტული საჰაბეების და ყურანის ზეპირად მცოდნე ჰაფიზებისგან წარმომადგენლობითი კომისიის შექმნისა. შემდგომ ამისა, ყოველი აია შეიკრიბა ერთ წიგნად, “მუსჰაფად” სათანადო თანმიმდევრობის მიხედვით, ისე, როგორც ამას სიცოცხლეშივე მიუთითებდა ალლაჰის შუამავალი ﷺ. როდესაც ისლამმა ფეხი მოიკიდა გარკვეულ ტერიტორიებზე და სხვადასხვა ქვეყნებში. მესამე ჰალიფა–კეთილშობილი ოსმანი, ﷺ წმინდა ყურანის გავრცელების საპატიო მისიას ჩაუდგა სათავეში. ჰიჯრით ოცდამეათე წელს, მან მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს უმსხვილეს ცენტრებში დააგზავნა მუსჰაფები. ამრიგად, მან საფუძველშივე აღმოფხვრა უთანხმოებანი, რასაც ყურანთან მიმართებაში იმ დღემდე ადგილი ჰქონდა. კეთილშობილი ოსმანის ﷺ ცხოვრების წესი გახლდათ ის, რომ გამოღვიძებისთანავე მოკრძალებით ემთხვეოდა ხოლმე ალლაჰის წიგნს. ჰალიფა ﷺ ხშირად

ამბობდა: „არ მინდა არცერთი დღე და არცერთი ღამე, თუკი მე ვერ მოვახერხებ და წასაკითხად ვერ გადავშლი ალლაჰის წიგნს“. (კანზ 1225). ასე და ამგვარად მისი კუთვნილი ორი მუსჰაფი ხშირი კითხვისა და ფურცვლის გამო მთლიანად გაიცრიცა. აბდურრაჰმან ბინ ოსმან ათთეიმი გადმოგვცემს: „ერთხელ კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ ნამაზის ლოცვისას პირველივე რაქათში წაიკითხა წმინდა ყურანი თავიდან ბოლომდე“.

ასკეტიზმი და თავაზიანობა

ეს ის ნორმები და ცხოვრების წესების ერთობლიობა გახლავთ, რაც მადლმოსილ საჰაბეთა განმასხვავებელ თვისებად გვევლინება. ამგვარად, ისინი იპყრობდნენ სულიერების თვალუწვდენელ მწვერვალებს ხდებოდნენ რა გზის მკვლევი შუქურები, რომლებიც მათ მიმდევრებს კაცობრიობის ისტორიაში ჭეშმარიტების სხივით უნათებდნენ გზას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს გააჩნდა თითქმის განუსაზღვრელი ოდენობით მატერიალური საშუალებებით სარგებლობის უფლება, ისინი მაინც ძალზე მოკრძალებულ ცხოვრების წესს ამჯობინებდნენ, რადგან ცდილობდნენ არ დარღვეულიყო ურთიერთკავშირი, სულიერების თვალსაზრისით, ალლაჰის წმინდა შუამავალთან ﷺ. კეთილშობილი ოსმანი ﷺ ყოველთვის ჩვეულებრივ, უბრალო და სუფთა ტანსაცმელს ატარებდა. სადილის შემდეგ

კი იგი პირდაპირ მეჩეთში ნიადაგზე წამოწვებოდა დასაძინებლად, სადაც მის სხეულს წვრილ–წვრილი კენჭები ეკვროდა. იგი ყოველთვის სთავაზობდა მოყვასს გემრიელ კერძებს, ხოლო თავად ძმრითა და ზეითუნის ზეთით გაჰქონდა დღეები. კეთილშობილი ოსმანი ﷺ, რომელიც დღისით მარხულობდა, ხოლო ღამეებს ღვთისმსახურებაში ატარებდა, ღამით აბდესისთვის წყალს თავად იმარაგებდა. ის არასოდეს აიძულებდა მოსამსახურეებს გაღვიძებას, რადგან თვლიდა, რომ ამგვარად მათი უფლებები შეირყეოდა. აბულ ფურათი გადმოგვცემს ერთ ამბავს, რომელიც კეთილშობილი ჰალიფას ﷺ სულიერ სინატიფესა და მგრძნობელობას გამოხატავს. აქ მონის უფლებებზეა საუბარი; ერთხელ ოსმანმა ﷺ მსახურს უთხრა: „თავის დროზე მე შენ ყურით გითრიე, მაშ, ახლა ადექი და გადამიხადე სამაგიერო“. მსახურმა ყურზე ხელი მოჰკიდა. კეთილშობილმა ოსმანმა ﷺ კი იგი გაამხნევა „მაგრად მოქაჩე, შვილო, სამაგიეროს გადახდა მხოლოდ ამ ქვეყანაზეა შესაძლებელი მარადიულ ცხოვრებაში იგი არ არსებობს.“

სარწმუნოებას შეწირული

კეთილშობილი ოსმანის ﷺ მმართველობის პერიოდი გამოირჩეოდა მოკრძალებულობითა და სამართლიანობით. ამ თვისებებიდან გამომდინარე ჰალიფატი, როგორც ხელისუფლება, დომინირებდა მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში. ისლამის

საღვთო კანონებით მართული საჰალიფოს შემადგენლობაში შევიდა: კვიპროსი, თარაბოლუსი, თაბარისტანი, სომხეთი. დაიწყო საზღვაო სავაჭრო ურთიერთობანი. მოეწყო ლაშქრობები როდოსზე, მალტასა და ბიზანტიაზე. ხმელთაშუა ზღვაში განადგურებულ იქნა ბიზანტიის უზარმაზარი ფლოტი. ეს სამხედრო ოპერაციები, ერთი მხრივ, გვიჩვენებს სახელმწიფოს განვითარებასა და პროგრესს, ხოლო მეორე მხრივ, ამ პროცესით მოსახლეობის აღორძინების ხანაში შეყვანას. სიმდიდრემ და კეთილდღეობამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ფენაში, მიწიერი კეთილდღეობისა და ფუფუნებისადმი მიდრეკილება წარმოშვა. მალე შეთქმულების ცეცხლი მუნაფიყებისა (ორპირები) და მათი თავკაცის წარმოშობით ებრაელი აბდულლაჰ ბინ საბას ინიციატივითა და ძალისხმევით გაჩაღდა. ამ პროცესმა მთელი ისლამური სამყარო მოიცვა. კეთილშობილი ოსმანი ﷺ მედინაში, საკუთარ სახლში, სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა ამბოხებულებმა შეიპყრეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საკუთარი თანხით გამოსყიდული და მუსლიმთათვის საჩუქრად ბოძებული ჭიდანაც აუკრძალეს წყლით სარგებლობა. მორწმუნეთა ჰალიფა ამბოხებულთა ძალისხმევით შექმნილ გამოუვალ მდგომარეობასა და თავისივე შიდა მტრების შემყურე ამბობდა: „მე უვიცი შვილების მამას ვგავარ, რომელსაც სიცოცხლეში არ უსმენენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ, ამის გამო ნანობენ“. იგი ამას ამბობდა, რადგან იცოდა,

რომ მისი გარდაცვალების შემდეგაც არეულობები გაგრძელდებოდა. კეთილშობილი ოსმანი ﷺ უფლებას არ აძლევდა საჰაბეებს, ძალით ჩაეხშოთ ამბოხება. ჰალიფას ﷺ სისხლისღვრა კატეგორიულად არ უნდოდა, იგი ამბობდა: „მე ვამჯობინებ სისხლის დაღვრამდე წყნარად და მორჩილად სიკვდილს, ვიდრე სიკვდილს, რომელიც სისხლისღვრის შემდგომ მოვა.“ მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთხელ სცადა ამბოხებულთა გამოფხიზლება და მათი გონს მოყვანა, შედეგს ვერა და ვერ მიაღწია. იმ დღეს მართლმორწმუნე ჰალიფა ოსმანი ﷺ მარხულობდა. ოთხმოცი წლის მოხუცი წმინდა ყურანს კითხულობდა, როდესაც ერთ–ერთი ამბოხებულის ხელით სიკვდილი იწვნია, იგი შეჰიდი გახდა. ამ დრამიზმით აღსავსე მომენტში, სარწმუნოებისათვის შეწირული ჰალიფას ﷺ სისხლის წვეთი, ყურანში იმ აიას დაეცა, სადაც ალლაჰი ბრძანებს: „...ალლაჰი საკმარისია შენთვის მათ წინააღმდეგ, რადგან ის ყოვლისმსმენი და ყოვლისმცოდნეა“. (სურა ბაყარა, 2/137). შუამავალი ﷺ ბრძანებდა: ვფიცავ ალლაჰს, რომ ოსმანი ﷺ აუცილებლად უშუამდგომლებს 70 ათას ადამიანს, რომელებიც განწირულნი იქნებიან ჯოჯოხეთისთვის და იგი მათ (ალლაჰის ნებით) სამოთხეში შეიყვანს”. (დეილემი, ფირდავს 4-360). მოდით და გულწრფელად ვცადოთ, ჩავწვდეთ სიბრძნეს და კეთილშობილი ოსმანის ﷺ გამონათქვამებში სულიერ სიმშვიდეს მივაღწიოთ, რათა სიამოვნების საკუთარი წილი ვიწვნიოთ ამ თვალსაჩინო საჰაბის ზნეობრიობითა და აზროვნებით გაცისკროვნებულ მარიფათულლაჰში (ღვთისმეტყველებისა და მსახუ-

რების უმაღლესი საფეხური), რაც ესოდენ დიდებულია თავისი მნიშვნელობის ხარისხით ცხოვრებისეულ გამოცდილებაში.

კეთილშობილი ოსმანის ﷺ გამოთქვამები:

„ყველაზე გონებამახვილი ის ადამიანია, ვისაც საკუთარი თავი მუდმივად სინდისის სასამართლოზე გაჰყავს. ის, ვინც აკონტროლებს საკუთარ „ცდუნებას“, ის, ვინც კეთილ საქმეებს სჩადის, რათა იცხოვროს სიკვდილის შემდგომ, ალლაჰისაგან იღებს წყალობას - სხივს, რათა მისით გაფანტოს წყვდიადი თავისსავე საფლავში.“

„დაე ეშინოდეს ალლაჰის მონა–მსახურს იმ დღის, როდესაც მას ალლაჰი აღადგენს მკვდრეთით ვითარცა ბრმას, მაშინ როცა მას ამ ქვეყნად მხედველობა გააჩნდა! იგი, ვინც გრძნობს დაფარულს, საიდუმლოებებს და მიზეზებს, ვისთვისაც მინიშნებაც კი საკმარისია ჭეშმარიტების შესაცნობად. რადგან საწყალობელ არიან სულიერად ყრუნი, რადგანაც ისინი ჭეშმარიტებას ვეღარასოდეს გაითავისებენ…“

მუ’მინებში კეთილგონიერებისა და კეთილსინდისიერების დამახასიათებელი ხუთი თვისება არსებობს:

1. ისინი ახლოს არიან იმათთან, ვინც ჭეშმარიტების გზაზე დგანან.

2. ისინი ენადაცული არიან და კარგად უწყიან, რას, როდის ამბობენ, რითაც წვრთნიან საკუთარ „ცდუნებას.“

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იძენენ რაიმე ნივთს, რაც მათზე მოქმედებს ისე, რომ ავიწყდებათ სიყვარული ალლაჰის მიმართ, იციან, თუ როგორ გაარჩიონ სასარგებლო – უსარგებლოსაგან. შესაბამისად ისინი, უპირატესობას ანიჭებენ მცირე წვრილმანსაც კი, რომელიც რელიგიისაგან მოდის!

4. ისინი თავშეკავებულები არიან საკვების მიღებისას, არ მიირთმევენ შარიათით გათვალსიწინებულ საკვებსაც კი ზედმეტი დოზით, რათა ამით არ დაარღვიონ შარიათისვე კანონი.

5. ფიქრი იმის შესახებ, რომ მთელი კაცობრიობა მიიღებს ხსნას, ზუსტად მაშინ, როდესაც მის სულს ალლაჰი მიიბარებს.

ჭეშმარიტი მორწმუნე ექვსი სახის შიშს განიცდის:

1. შიშს, არ დაკარგოს რწმენა, რამეთუ წმინდა აიებში წერია: „ღმერთო ჩვენო! მას შემდეგ, რაც ჩვენ დაგვაყენე ჭეშმარიტების გზას, არ ააცილო (მას) ჩვენი გულები. (სურა ალი იმრანი, 3/8) „ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ, გეშინოდეთ ალლაჰის (მისი) საკადრისი შიშით. და არ მოკვდეთ სხვად, მხოლოდ მუსლიმად აღესრულეთ“. (სურა ალი იმრანი 3/102)

2. შიში იმისა, რომ ანგელოზები ჩაწერენ ნამოქმედართა წიგნში იმას, რაც შეარცხვენს ადამიანს განკითხვის დღეს, რადგან წმინდა აიაში წერია: „იმ დღეს ის (დედამიწა) ყველა(ს ნამოქმედარ) ამბავს მოყვება, რადგან ღმერთმა მას ზეშთააგონა.“ (სურა ზილზალი 99/4–5).

3. შიში, რომ შეითანი (სატანა) მის ყოველ გეგმას ჩაშლის, რადგანაც ადამიანის ყოველი ქმედება მისთვის სასიკეთოდ არ არის მიმართული. ქმედებები ყოველთვის ადამიანის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. „(იბლისმა–სატანამ) თქვა: ღმერთო, გზიდან ჩემი აცდენის სანაცვლოდ, (მეც) დედამიწაზე მათ (შენს მონა–მსახურებს) მოვაწონებ (ყოველგვარ ცოდვას) და აუცილებლად შევაცდენ ყველას. გამონაკლისები მხოლოდ გულწრფელი მონა–მსახურები იქნებიან“. (სურა ჰიჯრი 15/39-40)

4. შიში იმისა, რომ აზრაილი (სიკვდილის ანგელოზი) ჩააგდებს გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში. წმინდა აიათში ნაბრძანებია: „ემსახურე შენს ღმერთს, ვიდრე სიკვდილი გწვევია“. (სურა ჰიჯრი 15/99). წმინდა ჰადისში ნათქვამია: „ადამიანი კვდება ისე, როგორც ცხოვრება გაატარა და აღსდგება იმ მდგომარეობაში, როგორაც გარდაიცვალა.“ (მუსლიმი, ჯენნეთ 83 მუნავი 5-663) კეთილშობილი ოსმანი ﷺ იყო რა უზომოდ შეყვარებული წმინდა ყურანს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი სრულიად შეერწყა ალლაჰის წმინდა წერილს. მანვე მოახერხა და

განავრცო იგი დედამიწის ოთხივე მიმართულებით. ყურანის კითხვისას ალლაჰის მოწყალებით იგი შეჰიდი გახდა.

5. შიში იმისა, რომ დაკარგავს წმინდა სასუფეველს, მიწიერ ცხოვრებაში გამოვლენილი უპატივცემულობითა და უმადურობით, რაც იმის გამო ხდება ხოლმე, რომ უპირატესობას და მარადიულობას მიწიერ სიამეებს უკავშირებენ. წმინდა აიაში ნათქვამია: „არაფერია ამქვეყნიური ცხოვრება, გარდა მაცდუნებელი სიტკბოებისა.“ (სურა ალი იმრანი 3/ 185).

6. შიში იმისა, რომ შვილებთა და საოჯახო საქმეებით გართული საკმარისი დროით არ იქნება დაკავებული ალლაჰის ხსენებით (ზიქრულლაჰ). წმინდა აიაში ნათქვამია: „და იცოდეთ, რომ თქვენი ქონება და შვილები მხოლოდ (თქვენივე) გამოცდაა. და უეჭველად ალლაჰთან,–მხოლოდ მასთანაა უდიდესი საზღაური.“ (სურა ენფალ 8/28).“

„უეჭველია, რომ მიწიერი ცხოვრება წარმავალია, იმქვეყნიური კი მარადიული. დაე, ის, რაც დამარხულ არს, ნუღარ გვაცდუნებს, ნუ გაგვანებივრებს და გადაგვიყვანს ჭეშმარიტების გზიდან. დაე, არ შეგვიშალოს ხელი ყოველივე ზემოდთქმულმა სამარადისო სასუფევლის მოპოვებაში. მომავალში უპირატესობა მარადიულს მიანიჭეთ. ამქვეყნიური ცხოვრება დასრულებადია და შემდგომ თქვენ ალლაჰს დაუბრუნდებით. მისი გეშინოდეთ, გეშინოდეთ ალლაჰისა“. (იბნი აბიდ დუნია მავსუა 177)

„ არასოდეს გადადოთ კეთილის ქმნა, რომელიც თქვენ ხელგეწიფებათ, რადგან არავინ უწყის როდის გვეწვევა სიკვდილი.“

დაე, უზენაესმა ალლაჰმა მოგვანიჭოს თუნდაც მცირეოდენი ხვედრი სიკეთის ქმნისა, რაც ზემოთ თქმულ ბრძნულ გამონათქვამებში იკითხება.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა გაგვხადოს ჰალიფა ოსმანის ﷺ შუამდგომლობის ღირსი.

დაე, ალლაჰმა დაგვაჯილდოოს მასთან მეგობრობის ხვედრით, რათა მასთან ერთად შევიდეთ მარადიულ სამყაროში წრფელი გულით, სამყაროთა გამჩენ უზენაეს ალლაჰზე შეყვარებულნი.

აამინ!

კეთილშობილი ალი ბინ აბუ ტალიბი ﷺ

მმართველობის პერიოდი (656–661)

კეთილშობილი ალი ﷺ სამყაროს ქააბაში მოევლინა. ასეთი პატივი მრავლისმეტყველი იყო, რადგან ბევრის ხვედრი დაბადებელიყო ქააბაში, არ ყოფილა. ამიტომ ალი ﷺ დაბადებიდანვე წმინდა ქალაქის მოქალაქედ ითვლებოდა. ვინაიდან მისი ოჯახი მრავალრიცხოვანი გახლდათ, ალლაჰის წმინდა შუამავალმა ﷺ ალი ﷺ საკუთარი მფარველობის ქვეშ როგორც ნათესავმა ბავშვობიდან აიყვანა. აქედან გამომდინარე, ხუთი წლის ასაკიდან პატარა ალი ﷺ სამყაროს წყალობად მოვლენილ ალლაჰის წმინდა შაუამავლის ﷺ აღზრდისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. სწორედ ამიტომაცაა, რომ ველური სამყაროსა და განვითარების დაბალი საფეხურის ე. წ. სიბნელის, ანუ ჯაჰილიის პერიოდმა მის პიროვნებაზე კვალი ვერ დატოვა. ის პირველი ბავშვი იყო ﷺ, ვინც მიიღო ისლამი და ირწმუნა ალლაჰის უზენაესობა. მას შემდეგ, რაც ალლაჰის შუამავალს ﷺ ისლამის გავრცელებისა და ქადაგების

მისია ებოძა, იგი ყოველწლიურად კეთილშობილი ალისა ﷺ და აბუ ბაქრის ﷺ თანხლებით მექაში მიემგზავრებოდა, რათა ბაზრობაზე მოსულ სხვადასხვა რჯულისა და ტომის ადამიანებს ისლამის ჭეშმარიტების შესახებ გასაუბრებოდა. თუკი იმ პერიოდში ქადაგებისას შუამავალს ﷺ თან არ ახლდა ალი ﷺ, ეს იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ სარგებლობდა რა მექას მოქალაქეობრივი სტატუსით, იგი შეუმჩნევლად შედიოდა დაცარიელებულ ქაბაში, სადაც კერპებს ამსხვრევდა. კეთილშობილმა ალიმ ﷺ უამრავი ენით აღუწერელი გმირობა ჩაიდინა სამყაროთა მნათობად მოვლენილი წმინდა შუამავლის ﷺ ხათრით. ასე მაგალითად, შუამავალს ﷺ ჰიჯრა რომ განეხორციელებინა, მუშრიქების (მრავალღმერთიანთა) თვალის ასახვევად, რომლებიც მადლმოსილ სახლს ყოველი მხრიდან შემორტყმოდნენ, მან საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, ალლაჰის შუამავლის ﷺ მწვანე ფერის მოსასხამი აიღო, საგულდაგულოდ გაეხვია შიგ და წმინდა მუჰამმედის ﷺ საწოლში ჩაწვა. ურწმუნონი გაოგნებული დარჩნენ, როდესაც საწოლში წმინდა ალი ﷺ იხილეს. ამ საქციელითა და ალის ﷺ თავგანწირვის ტოლფასი გმირობის წყალობით, მუშრიქებმა ვერ შეძლეს განეხორციელებინათ მზაკვრობა და ფიზიკურად გაენადგურებინათ კაცობრიობისთვის წყალობად მოვლენილი ალლაჰის შუამავალი ﷺ. გარდა ამისა, ამ საქციელით შუამავალმა ﷺ და აბუ ბაქრმა ﷺ

საკმაო დრო მოიგეს, რათა მდევარს გვარიანად გასცლოდნენ. კეთილშობილმა ალიმ ﷺ, მას შემდეგ, რაც წმინდა შუამავლის ﷺ დანაბარები შეასრულა, მექაში მცხოვრებ ყველა ადამიანს შუამავალისთვის ﷺ მიბარებული ამანათები დაუბრუნა. ეს ნივთები ნდობის მაღალი ხარისხის გამო, ალლაჰის შუამავალს ﷺ ჰქონდა მიბარებული. ალი ﷺ მედინას გზას დაადგა, მძიმე და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, იგი მზით გათანგული, ფეხებდასივებული და სიარულის შედეგად დასისხლიანებული წარსდგა სამყაროს სიამაყედ მოვლენილი შუამავლის ﷺ წინაშე. ჰიჯრიდან მეორე წელიწადს, უზენაესი ალლაჰის მადლმოსილების წყალობით, იგი გახდა ზნეკეთილი ფატიმას ﷺ მეუღლე. ასე, რომ მას მიეცა წყალობა ბედნიერებისა, რათა გამხდარიყო ეჰლი ბეითის, წმინდა ოჯახის წევრი - სიძე ალლაჰის შუამავლისა ﷺ. სწორედ ის გახდა მიზეზი იმისა, რომ ქვეყნიერებას თერთმეტი გამოჩენილი მუსლიმი მოევლინა, ვისაც ნათესაური კავშირი ჰქონდა სამყაროს სიამაყესთან ﷺ. კეთილშობილებასა და ღვთისმოშიშებით აღსავსე, მოკრძალებაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი ღირსეულთა შორის ღირსეულთათვისაა. ალისა ﷺ და ფატიმას ﷺ ოჯახიდან გამოსჭვივოდა მათი სულის სიმაღლე, ზნეობა, რაც არაერთხელ გამხდარა პოეტთა და მეხოტბეთა შთაგონების წყაროდ. აქედან გამომდინარე, „ეჰლი ბეითის“ წევრებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს სუფიზმსა და თასავვუფში ცნობილ პიროვნებათა შორის.

გულუხვობის ხელმწიფე

კეთილშობილი ალი ﷺ აღიზარდა ალლაჰის დალოცვილი წმინდა შუამავლის ﷺ უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ ამიტომაცაა, რომ იგი არასოდეს იჩენდა მიდრეკილებას ფუფუნებისა და მიწიერი სიამოვნებების მიმართ. იგი ცხოვრობდა უბრალო ცხოვრებით და თანამორწმუნეთა მიმართ უმაღლესი ხარისხის მუსლიმურ ძმობას ავლენდა, თავგანწირვით ისწრაფოდა კეთილდღეობა მოეტანა ყოველ მის საქციელს მორწმუნეთათვის. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ერთხელ ბრძანა: „როდესაც ალლაჰი რომელიმე ადამიანის მიმართ სიკეთეს განიზრახავს, იგი მას, ადამიანთა პრობლემების მოსაგვარებლად დაასაქმებს.“ (სიუტი II, 4/3924). კეთილშობილი ალი ﷺ აღფრთოვანდა ამ სიახლით და განაცხადა: „სიკეთის გამოვლენის ორად ორი ფორმაა ჩემთვის უპირატესი, თუმცა, რომელი მათგანი უფრო მახარებს, ზუსტად არ შემიძლია დავასახელო. პირველი - ეს გახლავთ, როდესაც ადამიანი იმედით აღსავსე მომაკითხავს და დახმარებას მთხოვს გულწრფელად, რათა დავაკმაყოფილო მისი სურვილი და გამოვასწორო მისი გაუსაძლისი ყოფა. მეორე - ეს ადამიანის სურვილის ასრულებაა. მე უპირატესობას ვანიჭებ მუსლიმთა საქმეების მოგვარებას და მათთვის სასარგებლო ქმედებების სრულყოფას. ამ სიამოვნებ-ას ვერ შემიცვლის თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელთ მეპყროს დედამიწის ზურგზე არსებული ოქროსა და ვერცხლის საბადოები.“

აი, რამდენიმე მაგალითი იმისა, რაშიც გამოვლინდა ამ ჭეშმარიტი საჰაბეს ﷺ მაღალი ზნეობა.

ერთხელ, ალიმ ﷺ მეუღლეს ჰკითხა: „რაღაც ძალიან მომშივდა, აბა ნახე, იქნებ რაიმე საჭმელი შემოგვრჩა?" ფატიმა ეზ ზაჰრამ ﷺ მეუღლეს განუცხადა, რომ სახლში არაფერი მოეპოვებოდათ, გარდა ექვსიოდე წვრილი მონეტისა. მაშინ კეთილშობილმა ალიმ ﷺ აიღო ექვსივე მონეტა და ბაზრისკენ გაეშურა. გზაზე ერთ უცნაურ სცენას წააწყდა: ერთ კაცს მეორე კაცისთვის ქეჩოში ხელი ჩაევლო და ემუქრებოდა: ან დამიბრუნე ის, რაც წესით მერგება ან არადა სასამართლოში წავიდეთო!" მიუხედავად იმისა, რომ მევალე სთხოვდა თანხის გადახდის ვადა ცოტათი გადაეწია, კრედიტორი კატეგორიულ უარზე იდგა. კეთილშობილი ალი ﷺ აღნიშნული შეხლა-შემოხლის უნებლიე მოწმე გახდა. იგი დაინტერესდა, თუ თანხის რა რაოდენობის გამო იყო წარმოშობილი დაპირისპირება. გაირკვა, რომ უკამყოფილების მიზეზი ექვსიოდე წვრილმანი ხურდა ფული გახლდა. ალიმ ﷺ ჯიბიდან ექვსი ვერცხლი ამოიღო და პირგამეხებულ კრედიტორს გაუწოდა. საკითხის ამოწურვის შემდეგ ალი ﷺ ჩაფიქრდა. გონებაში უნებლიედ ერთმა აზრმა გაუელვა: როგორ შეხვდება ამ ამბავს მისი მეუღლე? სახლში დაბრუნებისას მას ხელთ აღარც ფული ექნება და აღარც საკვები პროდუქტი. საბოლოოდ მან გადაწყვიტა: „ფატიმა ﷺ შუამავლის ﷺ წმინდა გვარის შვილი და მაღალი ზნეობის ქალბატონია, ამიტომაც

ვალდებულია გამიგოს.“ სახლში დაბრუნებისას ალიმ ﷺ მომხდარის შესახებ მეუღლეს უამბო. ფატიმა ეზ ზეჰრამ ﷺ, მეუღლეს უთხრა: „ელჰამდულილლაჰ (მადლობა ალლაჰს) შენ სამართლიანად მოქცეულხარ. ბედნიერებაა, რომ ჩვენი მუსლიმანი ძმა საპყრობილეს გადაარჩინე. ჩვენზე ნუ იდარდებ, ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია“. მაგრამ ქალბატონმა მაინც მოიწყინა, რადგან პატარა ჰასანი ﷺ და ჰუსეინი ﷺ შიმშილის გამო განუწყვეტლივ ჭირვეულობდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ. წმინდა ალიმ ﷺ ვეღარ გაუძლო ამ სურათს და გულდამძიმებული გავიდა სახლიდან. გაიფიქრა: „წავალ, ერთი ალლაჰის შუამავალს ﷺ მოვინახულებ, მისი კეთილშობილებით აღსავსე სახის დანახვამ, შესაძლოა, ნაღველი მთლიანად მომხსნას“. შუამავლის ﷺ სახლისკენ მიმავალს გზად უცნობი გამოელაპარაკა, რომელსაც საბელით კარგა მაძღარი აქლემი მიჰყავდა. მან ალის ﷺ მიმართა:

-„არ გინდა აქლემი იყიდო”?

კეთილშობილმა ალიმ ﷺ უპასუხა, რომ არ ჰქონდა ის საფასური, რაც აქლემის შესყიდვისთვის აუცილებელი იქნებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უცნობმა მას აქლემი ას დინარად დაუთმო და თან უთხრა:

- „როცა გექნება მაშინ გადამიხადე.“

ის-ის იყო წმინდა ალი ﷺ ახლად შეძენილი აქლემით გზას გაუდგა, რომ უცებ კიდევ ერთი უცნობი მამაკაცი გამოჩნდა. მიუახლოვდა თუ არა იგი ალის ﷺ, არც აცია, არც აცხელა და ჰკითხა:

- „შენს აქლემს სამას ოქროდ არ დამითმობ“? კეთილშობილი ალიც ﷺ დათანხმდა შემოთავაზებას და აქლემი გაყიდა. მიღებული თანხით ბაზარზე კარგა გვარიანად ივაჭრა და სარჩო-სანოვაგით დატვირთული სახლში დაბრუნდა. ბუნებრივია, მომხდარის შესახებ კეთილშობილ ფატიმას ﷺ უამბო. ოჯახის წევრები დანაყრდნენ, ალლაჰს მადლობა შესწირეს, ოდნავ მოგვიანებით კი, წმინდა ალიმ ﷺ ალლაჰის შუამავლის ﷺ სახლს მიაშურა. სამყაროს წყალობად მოვლენილმა ﷺ მას ჰკითხა, იცის თუ არა ვისგან შეისყიდა და ვის მიჰყიდა აქლემი? ამაზე ალიმ ﷺ მიუგო: „ამის შესახებ იცის მხოლოდ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა ﷺ“. ალლაჰის შუამავალმა ﷺ კი მიუგო: „აქლემი მთავარანგელოზმა ჯებრაილმა (გაბრიელმა) მოგყიდა, ხოლო შენგან იგი ანგელოზმა ისრაფილმა იყიდა. თავად აქლემი კი სამოთხის ბაღთა ბინადარი იყო. უზენაესმა ალლაჰმა, იმის გამო, რომ შენ მატერიალური ხასიათის პრობლემებისგან იხსენი მუსლიმი, ამქვეყნად ერთი გაგიორმოცდაათმაგა, თუმცა რა გელოდება ყოველივე ამისათვის მარადიულ სასუფეველში და რას გიმზადებს უზენაესი მხოლოდ მან უწყის“. როგორც ათა გადმოგვცემს იბნ აბბასის მონათხრობს: „ერთხელ, კეთილშობილი ალი ﷺ სა-მუშაოდ მოეწყო ერთ მებაღესთან, სადაც საღამოობით ფინიკის პალმები უნდა მოერწყო. დილით მან ჯამაგირად მცირეოდენი ჭვავის მარცვალი მიიღო და სახლისკენ გაეშურა. ოჯახში მეუღლემ ჭვავის 1/3 ხელის საფქვავით დაფქვა და „ხაზირა“-ერთგვარი

კერძი მოამზადა. ის-ის იყო საჭმელი მომზადდა, რომ წმინდათა სახლის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. სტუმარი უსახლკარო მგზავრი აღმოჩნდა, რომელმაც საჭმელი ითხოვა. ოჯახის წევრებმა ღარიბს თავიანთი ულუფა უწილადეს. ამის შემდეგ ჭვავის მეორე 1/3 დაფქვეს და საჭმელი თავიდან მოამზადეს. კერძი მომზადებულიც არ იყო, რომ ამჯერად მათთან ობოლი გოგონა მივიდა და საჭმელი ითხოვა. ბუნებრივია მასაც დაეთმო კეთილშობილთა ულუფა. ჯერი ჭვავის დარჩენილ 1/3 მომზადებაზე მიდგა და ის-ის იყო კერძი მომზადდა, რომ კარის ზღურბლზე კვლავ სტუმარი გამოჩნდა. იგი ურწმუნო აღმოჩნდა, რომელიც ტყვეობიდან ახლახან განთავისუფლებულიყო. ტყვე შიმშილისგან გასავათებულიყო. ზნეკეთილმა ალიმ ﷺ და ფატიმამ ﷺ ამჯერადაც გასცეს ულუფა მოწყალების სახით. იმ დღეს ალის ﷺ ოჯახის წევრებმა მშიერი დაიძინეს. სხვათა გადმოცემით, წმინდა ალი ﷺ და ფატმა ﷺ სამი დღის განმავლობაში ინახავდნენ მარხვას, ხოლო იფთრის (ხსნილებისათვის) საჭირო შეჭამანდს, ხან ღარიბს, ხან ობოლს, ხან კიდევ ტყვეს უთმობდნენ. თავად კი მარხვას წყლით იხსნილებდნენ ხოლმე. ამასთან დაკავშირებით, ალლაჰმა შემდეგი აიები მოუვლინა სამყაროს: „...და საყვარელ საკვებს ღარიბ-ებს, ობლებსა და ტყვეებს აჭმევენ (და ამბობენ) „ჩვენ საკვებს მხოლოდ იმისთვის გაჭმევთ, რათა ალლაჰის კმაყოფილება მოვიპოვოთ, არ გვსურს თქვენგან არც საზღაური და არც სამადლობელი. ჩვენ იმ საშინელი (განკითხვის) დღის გვეშინია, როდესაც (ადამიანთა)

სახეები მოიქუფრება“. ალლაჰი დაიცავს მათ იმ დღის საშინელებისაგან და ჯილდოდ ბედნიერებას და სიხარულს მისცემს“. (სურა ინსან 76/8-11). (ვაჰიდი ესჰაბუ ნუზულ გვ 470; ზამაჰშერ ელ ქეშაფი 6, 191-192; რაზი ხხხ, 244) უსაზღვრო ზნეობრიობისა და განსხვავებული მსხვერპლგაღებისათვის ალლაჰის გზაზე, რაც წმინდა ალის ﷺ ახასიათებდა, იგი ხშირად ხდებოდა შუამავლის ﷺ ხოტბის შესხმის ობიექტი. წმინდა მუჰამმედი ﷺ მას „გულმოწყალების სულთანს“ (სულთანულ ასჰია) უწოდებდა. ამავე ხარისხით, კეთილშობილი ალი ﷺ სარგებლობდა სამართლიანობით, ხელგაშლილობით, საიდუმლო ღვთისმეტყველების უზადო ცოდნით, განმჭრიახი გონებით, სიბრძნითა და რელიგიურად სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებით. გარდა ამისა, დანარჩენ საჰაბეთაგან განსხვავებით, იგი იყო სწორუპოვარი ვაჟკაცობისა და თავგანწირული მებრძოლის მანტიით მოსილი პიროვნება.

ალლაჰის ძლევამოსილი ლომი

კეთილშობილი ალი ﷺ მონაწილეობას ღებულობდა თითქმის ყოველ ბრძოლაში, რომელიც ისლამის ჯიჰადის რანგში გაიმართა, გარდა თაბუქის ბრძოლისა. ესეც გამოწვეული იყო იმის გამო, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ მას მედინაში მუსლიმთა ოჯახების დაცვისა და მზრუნველობის მისია დააკისრა. იგი „ეჰლი ბეითის“ დამცველად დარჩა სხივნათელ მედინაში. ძლევამოსილმა საჰაბემ ﷺ,

რომლის ძალგულოვნების შესახებ ყოველმა ადამიანმა იცოდა, საომრად წასული ლაშქრის მხედარმთავარს ასე მიმართა: „ეი ალლაჰის შუამავალო ﷺ! რატომ მტოვებ მე ბავშვებისა და ქალების ამარა, ნუთუ ღირსი არა ვარ ვიმყოფებოდე ბრძოლის ველზე მუსლიმთა რიგებში?!“ შუამავალმა ﷺ იგი დააწყნარა და თან ისეთი სიტყვა უთხრა, რომელმაც წმინდა ალის ﷺ პიროვნება კიდევ უფრო აამაღლა: “ ჰოი ალი! იმად ვინადაც ითვლებოდა ჰარუნი ﷺ მუსასათვის, ﷺ იმად, ითვლები შენ ჩემთვის! მაგრამ ჩემს შემდგომ ალლაჰის შუამავალი უკვე აღარ მოვა!”.

იმდროინდელი ადათების თანახმად, არაბები რომლებიც უბადლო მებრძოლებად ითვლებოდნენ, შერკინების წინ მოპირდაპირე რიგებიდან რჩეულებს ირჩევდნენ, რომლებიც თანაბარ ორთაბრძოლაში ერთმანეთს ეკვეთებოდნენ ხოლმე. როგორც წესი, ამ საპატიო მისიას მუსლიმთა რიგებში ალლაჰის შუამავლის ﷺ უშუალო გადაწყვეტილებით, წმინდა ალი ﷺ ასრულებდა. იმის გამო, რომ იგი დაუმარცხებელი დევგმირი იყო, ალლაჰის ნებითა და წყალობით მას „ასადულლაჰილ გალიბი“ (ალლაჰის გამარჯვების მაუწყებელი ლომი) დაარქვეს. ეჭვგარეშეა, რომ მისი გმირობისა და დაუმარცხებლობის საიდუმლო, მისივე სულიერებაზე იყო დაფუძნებული. რაც მას განუმტკიცდა ალლაჰის შუამავლის ﷺ აღმზრდელობითი მადლმოსილებით აღსავსე მეთოდოლოგიის წყალობით. სამყაროს სიამაყედ მოვლენილი ﷺ ბრძანებდა:

„ჭეშმარიტად, ვაჯკაცი ის ადამიანია, ვინც თავს გააკონტროლებს მაშინ, როცა მდგომარეობიდან არის გამოსული და არა ის, ვინც შერკინებაში ამარცხებს თავის მოწინააღმდეგეს.“ კეთილშობილი ალი ﷺ, ცხოვრობდა რა ცხოვრების ამ წესით, კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული აღნიშნული შეგონება და წმინდა ჰადისის ხორცშესხმულ მაგალითად იქცა. რამდენად ღირსშესანიშნავია, როდესაც გაცხარებულ საღვთო ომში მის მიერ ფიზიკურად ძლეულმა მოწინააღმდეგემ წმინდა ალის ﷺ მადლმოსილ სახეში შეაფურთხა. ამ ფაქტმა მომენტალურად შეცვალა ბრძოლის ველი. კეთილშობილმა ალიმ ﷺ ხელი აიღო დამარცხებულ, თუმცა მისი პიროვნების შეურცხმყოფელი მტრის მოსპობაზე. მისმა ამ საქციელმა გააოგნა და ჩიხში შეამწყვდია მოწინააღმდეგე. მან ომი დაივიწყა და ალის ﷺ ფეხდაფეხ აედევნა; „განმიმარტე, რატომ არ მკლავ, რატომ მაჩუქე სიცოცხლე?“- ეკითხებოდა იგი და ელდანაცემივით თან სდევდა. მთელი ქვეცნობიერებით ალლაჰის მორწმუნე და მოყვარულმა ალიმ ﷺ მტერს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა: „საღვთო ომი, რომელიც რელიგიის დაცვა-განვითარებას ისახავს მიზნად, ორი სახისაა: პირველი იგი ნიშნავს, შენნაირი ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლას და ისიც იმიტომ წარმოებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილება იქნას მოპოვებული. მეორე-ესაა საკუთარი ცხოველური ჟინისა და გაღვივებული ეგოიზმის წინააღმდეგ მიმართული ომი. მე გებრძვი, რადგან შენ ალლაჰის

მოწინააღმდეგე ხარ და გეგრძვი, რათა მოვიპოვო მისი კმაყოფილება. თუმცა, მე რომ შენ იმ მომენტში მომეკალი, როცა სახეში შემაფურთხე, ვიგრძენი, იმიტომ მოგკლავდი, რომ საკუთარი შინაგანი, ცხოველური ინსტიქტი და ჟინი დამეკმაყოფილებინა. ეს იგივე იყო, დავმორჩილებოდი „ცდუნებას“, რომელმაც სული და გული ამიჩქროლა, როგორც შეურაცხყოფილს. არ მოგკალი, რათა ჩემზე „ცდუნებას“ არ გაემარჯვა! ამიტომაც გერგო თავისუფლება. მე თავს ძალა დავატანე და საკუთარი „ცდუნება“ მოვთოკე, რითაც მასზე გამარჯვება მოვიპოვე. მე დიადი ჯიჰადი (ჯიჰად ალ აქბარ) შევასრულე. რადგანაც თუკი მუსლიმი საკუთარ „ცდუნებას“ დაემორჩილება, ამას უფრო დიდი ზიანი მოაქვს საბოლოოდ, ვიდრე შენნაირი ურწმუნოების მოქმედებებს“.

ალის ﷺ ბრძნულმა პასუხმა მოწინააღმდეგის გული მოიცვა, უზენაესის შესაცნობად გონებადაბინდულს თვალთაგან ფარდა აეხადა, ფარდა რომელიც ჭეშმარიტების ხილვას უშლის ხოლმე ხელს. ღვთის ნებით მისი სული სინათლის სხივითა და ალლაჰის რწმენით გაჯერდა. მოგვიანებით მან მრავალ საღვთო ომში მიიღო მონაწილეობა და იბრძოდა კეთილშობილი ალის ﷺ მხარდამხარ მუსლიმთა რიგებში. იგი ყოველთვის ცდილობდა ერთმანეთში არ არეოდა საკუთარი ცდუნებით გამოწვეული რისხვა ჭეშმარიტი რისხვისაგან. ამიტომაც ჯიჰადში, როდესაც მონაწილეობას ღებულობდა, თავდაპირველად,

საკუთარ „ცდუნებაზე“ გამარჯვებით ტკბობას ეძლეოდა, ხოლო შემდგომ, ურწმუნო მტრის ძლევით ალლაჰის კმაყოფილების მისაღწევად იღვწოდა. გარდა იმისა, რომ წმინდა ალი ﷺ თავდაუზოგავი გმირობისა და სასწაულის ტოლფასი ქმედებებით გამოირჩეოდა, მთელი ცხოვრება ალლაჰის მიმართ თაყვანისცემასა და მასთან სიახლოვის ატმოსფეროში გაატარა.

ერთ-ერთ ბრძოლაში ის ისრით ფეხში დაიჭრა. ჭრილობა იმდენად მძიმე და ღრმა იყო, რომ ისრის ამოღება შეუძლებელი გახდა, ამას თან ერთვოდა აუტანელი ტკივილი. რამდენადაც სულიერი ძმები არ ცდილობდნენ სატანჯველიდან გაენთავისუფლებინათ წმინდა ალი ﷺ, შედეგი არ იყო. ისრის ამოძრობა ვერასგზით ვერ მოხერხდა. მაშინ წმინდა ალიმ ﷺ ბრძანა: „მე ნამაზის შესასრულებლად დავდგები, ლოცვის პერიოდში შეგიძლიათ ისარი ამომაძროთ!“ კეთილშობილი ალი ﷺ ნამაზის პროცესში სრულებით ეთიშებოდა მიწიერ სამყაროს, იგი თვით საკუთარ სხეულსაც კი ეყრებოდა. როდესაც ნამაზის შესრულებას შეუდგა ასჰაბებმა ისარი ყოველგვარი გართულების გარეშე ამოაძრეს ფეხიდან. წმიდა საჰაბეს ﷺ ღმერთთან ურთიერთობის მომენტში ტკივილის შეგრძნების რეფლექსიც უქრებოდა.

საინტერესოა, არსებობენ თუ არა დღევანდელ მსოფლიოში ადამიანები, რომლებიც ამგვარად ასრულებენ სავალდებულო ღვთისმსახურებას-ნამაზს?

ქაბადან ქუფას მეჩეთამდე

ალლაჰის შუამავლის ﷺ გარდაცვალების შემდგომ კეთილშობილი ალი ﷺ, იყო რა მართლმორწმუნე ჰალიფათა გარემოცვაში, ძალასა და მონდომებას არ აკლებდა ჰალიფატის გაძლიერებას. იგი მონაწილეობას ღებულობდა სახელმწოფოებრივი მნიშვნელობის ყველა თათბირსა და შეხვედრაში. შესაბამისად, მისი გამჭრიახობის წყალობით ჰალიფატი ღებულობდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. როდესაც ჰალიფა ოსმანი ﷺ შეჰიდის სტატუსით მარადიულობას შეუერთდა, საჰაბეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ჰალიფატის მმართველობა წმინდა ალის ﷺ ერგო. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რაც ალიმ ﷺ მიიღო, სატახტო ქალაქის - სხივნათელი მედინადან ქუფაში გადატანა იყო. მიზეზად სახელდებოდა ის, რომ მორწმუნეებს მედინას წმინდათაწმინდა ქალაქად შენარჩუნება სურდათ. ბუნებრივია, ამ ღვთიური მადლით აღსავსე ქალაქს მრავალი ამაღლებული და სულიერებით დატვირთული მოგონება უკავშირდებოდა. მარტო ის რად ღირდა, რომ ქალაქი მედინა, თავისი არსით ალლაჰის შუამავლის ﷺ პიროვნებას იყო შერწყმული. ზუსტად იმის გამო, რომ ამ მადლომოსილებით სავსე ქალაქს შეენარჩუნებინა ოაზისის სტატუსი ყოველ მუსლიმთა ცნობიერებაში და მოცილებულიყო სახელმწიფო მმართველობის პროცესებს, პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის თავისებურებებს, გადაწყვეტილება სისრულეში იქნა

მოყვანილი. სახელისუფლებო ცენტრი წმინდა ალის ﷺ ძალისხმევით ქუფაში გადავიდა. შემდგომ გაირკვა, რომ გადაწყვეტილება მართლაც ბრძნული გამოდგა. მეოთხე ჰალიფამ ﷺ მთელი ცხოვრება ინტრიგების, შეთქმულთა და ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა. ეს ყველაფერი ჰალიფატის ახლადაგებულ პოლიტიკურ ცენტრში-ქუფაში ხდებოდა. ერთხელ კეთილშობილ ალის ﷺ შესთავაზეს;

-„ო, მორწმუნეთა მმართველო! ნება მოგვეცით დაგიცვათ და უზრუნველვყოთ თქვენი პირადი უსაფრთხოება!"

ჰალიფამ ﷺ ასეთი პასუხი გასცა:

-„ადამიანის უსაფრთხოების დამცველი და გარანტი მისი სიკვდილია."

რამდენიმე დღით ადრე ვიდრე წმინდა ჰალიფას ﷺ სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებდნენ, მან უარი განაცხადა საჭმლის მიღებაზე. ამით თითქოს იწინასწარმეტყველა საკუთარი აღსასრულის მოახლოება. ისინი, ვინც ეკითხებოდნენ საკვების მიღებაზე უარის თქმის მიზეზს, ასე პასუხობდა:

- „მე მინდა უზენაესის ნება აღსრულდეს მაშინ, როდესაც მშიერი ვიქნები."

ამ დღიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ იგი იბნ მულჯამას ხელით ქუფის მეჩეთში, დილის ნამაზის შესრულებისას სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი. იმ დროს ჰალიფა ﷺ 63 წლის გახლდათ. სასიკვდილო

სარეცელზე მწოლიარეს, ჯუჰაიბ ბინ აბდულლაჰმა უთხრა:

- ჰოი, მორწმუნეთა მბრძანებელო! ალლაჰმა დაგვიფაროს იმისგან, რომ უშენოდ დავრჩეთ, მაგრამ ვინიცობაა, ეს ასე გვიწერია, ჩვენ ერთგულების ფიცს შენი მემკვიდრის-ჰასანის ﷺ წინაშე დავდებთ.“

კეთილშობილმა ალიმ ﷺ მისთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობითა და სიბრძნით მიუგო, თითქმის ისევე, როგორც ეს წმინდა ომარმა ﷺ გააკეთა თავის დროზე;

- „ამ საქმეში მე არც გიბრძანებთ და არც არაფერს აგიკრძალავთ. თავად უკეთ უწყით ყოველივეს.“

- ამის შემდგომ უკანასკნელად დაარიგა ჰასანი ﷺ და ჰუსეინი ﷺ:

- „გიტოვებთ თქვენ კეთილსინდისიერებისა და ღვთისმოშიშობის გრძნობას, გაუფრთხილდით მას. მნიშვნელობას ნუ მიაქცევთ წუთისოფლისთვის დამახასიათებელ სიამეებს, ნუ იდარდებთ და ინერვიულებთ მატერიალურ-ეკონომიური ხასიათის დანაკარგის გამო. ყოველთვის სიმართლე თქვით. თქვენი საქციელი ყოველთვის ალლაჰის წიგნთან შეთანხმებული იყოს. იყავით მტერნი მჩაგვრელთა და დამცველნი ჩაგრულთა. არასოდეს მიაქციოთ ყურადღება მათ, ვინც უარყოფს, ან ეჭვის ქვეშ აყენებს ისლამის წმინდათაწმინდა საკითხებს“. დასასრულს კეთილშობილმა ალიმ ﷺ ქელიმეი შეჰადეთი (ალლაჰის ერთადერთობის მოწმობის დამადასტურელი

სიტყვები) წარმოთქვა და გარდაიცვალა. ამგვარად დახურა საკუთარი სიცოცხლის წიგნი მეოთხე მართლმორწმუნე ჰალიფამ ﷺ. ქააბაში დაბადებით მადლმოსილ წმინდანს ﷺ თურმე ქუფაში ეწერა უკანასკნელი ამოსუნთქვა. შემდგომ სიკდილის პირას მყოფი მუავიე ﷺ ასე გამოხატავდა იმ სულიერ განცდებსა და სინანულს, რომელიც კეთილშობილ ალისთან ﷺ ბრძოლის შედეგად იწვნია; „აჰ, ნეტავ მეც ვყოფილიყავი ზი-ტუას ხეობაში მცხოვრები ყურეიშის ტომის ჩვეულებრივი რიგითი წევრი და არ შევსულიყავი (სახელმწიფოებრივ) საქმეებში“. (იბნ ასირ ელ ბიდაიე 8-136). დიადი ევლია (ღვთისმოსავი, კაცთა შორის ალლაჰის უახლოესთაგანი) ჯუნეიდ ბაღდადი ამბობდა: „ბედნიერი ვიქნებოდით, რომ კეთილშობ-ილ ალის ﷺ ამ ომებისა და დაპირისპირებისათვის დრო არ დაჰკარგოდა, რადგან ამ შემთხვევაში, რამდენ დაფარულ და მნიშვნელოვან ღვთიურ სიბრძნეს აღმოვაჩენდით მისი მეშვეობით. უეჭველია, იგი იყო გამორჩეული სწავულთა შორის და მათი დამრიგებელი ღვთისმეტყველების საიდუმლოებათა საკითხებში. მას ეკუთვნის ქვემოთ მოცემული სიტყვები, რომელიც მანამდე არავის უთქვამს და რომლის მსგავსადაც მათ წარმოთქმას ვეღარავინ შეძლებს.“

კეთილშობილი ალის ﷺ ბრძნული გამო-ნათქვამები:

„მიეცით სიმშვიდე თქვენს სულებს, ბრძნული და დაფიქრებისკენ მიმართული მიდრეკილების მიმცემ

სიტყვათა წარმოთქმით, რადგან როგორც სხეული იღლება და სუსტდება, ზუსტად ისე ემართება სულსაც“.

„არ აქვს ფასი ნამაზს, თუ იგი არ სრულდება უზენაესთან დაახლოების განზრახვით; არც მარხვის შენახვას აქვს ფასი, თუ თავს არ შევიკავებთ უაზრო ქმედებებისა და ფუჭი საუბრისაგან; ყურანის კითხვა უსარგებლოდ ითვლება, თუ არ გავიაზრებთ მის აზრს; ცოდნას ფასი ეკარგება, თუ გულით არ დასტურდება; ქონება უსარგებლოა, თუ მისგან არ გაიცემა შემოწირულობა ღარიბ-ღატაკთათვის; ძმობას ფასი არა აქვს, თუკი იგი მძიმე პერიოდში არ გამომჟღავნდება; კეთილმოქმედება გაუფასურდება, თუ მას ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად არ შევასრულებთ; უფასურდება ვედრება წარმოთქმული არაგულწრფელად.

„ადამიანები მტრულად არიან განწყობილი იმის მიმართ, რის შესახებაც წარმოდგენა არა აქვთ“.

„სამოთხე ხელგაშლილებს და გულუხვებს ეკუთვნით, კადნიერთა და გულღრძოთა სამყოფელი ჯოჯოხეთი რჩება“.

„მედიდურებსა და კადნიერთ არ ჰკითხავენ, რატომ არ იცოდნენ, მანამ, სანამ სწავლულნი არ უპასუხებენ შეკითხვას; „რატომ არ ასწავლეს?“

„ის, ვისაც სურს სამოთხეში დაიდოს ბინა, ჩქარობს სიკეთის ჩადენას, განიცდის რა შიშს არ გახ-

დეს მსხვერპლი ცდუნებისა, მისი ცეცხლის ალისა. ფუფუნებისა და სიამოვნებათა მიმართ სიყვარულის გრძნობა ნელდება მათში, ვინც ირწმუნებს სიკვდილის გადაუვალობას. მან, ვინც შეიმეცნა, თუ რაში მდგომარეობს არსი წუთისოფლისა, თვალხილული ხედავს და ანსხვავებს რა არის ბოროტება, უბედურება და საშინელებანი“.

„რელიგიური აღზრდის შედეგად მიღებული ზნეობრიობა და ადამიანური თვისებები, არის ნაყოფი ჯანსაღი აზროვნებისა.“

„ბრძენი ყოველთვის მკაფიოდ და ლაკონურად გამოთქვამს საკუთარ აზრს.“

„იგი, ვინც თვლის, რომ მისი სიტყვები ქმედების ტოლფასია, საუბრობს ცოტას, ან მხოლოდ იმას, რაც მას ეხება“.

„უმჯობესია დუმილი შეინარჩუნო მანამ, ვიდრე არ გკითხავენ, ვიდრე ილაპარაკო მანამდე, სანამ არ მოგიწოდებენ გაჩერდე“.

„არც კი იფიქრო ხმამაღლა დაუბრუნო პასუხი ხმადაბლა მოსაუბრეს, რადგან ხმადაბლა მოსაუბრეს კიდევ უამრავი დაბალი სიტყვა აქვს რეზერვში, შენს უხეშ პასუხს იგი ჩვეულებისამებრ ხმადაბლავე უპასუხებს“.

„ალლაჰმა დაგიფაროს უზრდელს ეხუმრო, მას შეუძლია ჭრილობა მიაყენოს შენს სულს, რადგან მისი სიტყვა ყოველთვის ცინიკური და გაუწონასწორებელია.“

„ხალხს იმ ენაზე ესაუბრეთ, რომელიც მათ ესმით“.

„კუზიანს, ჩრდილიც კუზიანი აქვს.“

„კეთილგანწყობილი იყავი ალლაჰის მონა-მორჩილთა მიმართ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევა-ში შეძლებ თავი დააღწიო ყოველნაირ სიძნელეს.“

„თუკი ადამიანი არ იზიარებს: ალლაჰის, წმინდა შუამავლისა ﷺ და რელიგიურად განსწავლულთა სუნნეთს (დადგენილ ნორმას), ეს იმას გვაუწყებს, რომ იგი უპოვარი და უბადრუკია. ალლაჰის სუნნეთი ნიშნავს საიდუმლოს შენახვას, შუამავლის ﷺ სუნნეთი ნიშნავს ხალხთან მაღალზნეობრივ დამოკიდებულებას, ხოლო ევლიათა სუნნეთი ნიშნ-ავს გაუსაძლისი პირობების გაძლებას სატანჯველის მოთმენას, რომელსაც მათ ადამიანები მიაყენებენ.“

„თუკი ადამიანთან დამეგობრება გსურს, თავიდან მასთან გარკვეული დისტანცია დაიჭირე, თუკი ამისდამიუხედავად იგი შენს მიმართ კეთილგანწყობილი დარჩება, მაშ გააგრძელე მეგო-ბრობა, თუკი არა, უმჯობესია უარი თქვა მასთან მეგობრობაზე.“

„ადამიანი, რომელიც შურისძიების წყურვილი-თაა შეპყრობილი, ვერ შეძლებს სასარგებლო საქმის გაკეთებას, რადგან გული იმდენად ფართო არ არის, შიგ ორი საპირისპირო რამ დაიტიოს.“

„მორწმუნის ღიმილი, მისსავე სახეზეა, ხოლო მწუხარება მის გულში რჩება“.

„მიაღწიო ყოველ შესაძლო სიკეთეს, ნიშნავს აღესრულო მუსლიმნად.“

„რა ქმნის ამპარტავანს ადამის შთამომავალს? მისი საწყისი ერთი წვეთი სითხით განისაზღვრება, ხოლო დასასრული მისი გარდაუვალი სიკვდილია, მას ისევე არ შეუძლია თავი გადაირჩინოს სიკვდილისგან, როგორც არ ძალუძს შექმნას თავისი არსებობისათვის აუცილებელი საშუალებანი.“

„ცხოვრებაში სხვადასხვა პერიოდი დგება, ერთ დღეს წარმატება მოაქვს, მეორეს-წარუმატებლობა. ნუ მიეცემი სიხარულს, როდესაც ერთ დღეს გაგიმართლებს და ნუ დამწუხრდები, ნუ დაიჩივლებ, როცა წარუმატებელი დღე დაგიდგება“.

„დღეს არის დღე ქმედებისა, როდესაც არ მოგკითხავენ, ხვალ კი მოგიხმობენ, რათა პასუხი აგო ნამოქმედარზე და საქმის კეთების დრო აღარ დაგრჩება.“

„ჟამთა სვლა, არის ნაბიჯები, რომელიც სიკვდილს გვაახლოებს.“

„ამ სამყაროში რელიგია და კეთილდღეობა იქნება მანამ, სანამ ოთხი რამ იარსებებს: პირველი-მდიდრები, ვისაც ალლაჰის ბოძებული სიმდიდრე ხელთ ექნებათ და არ იწუწკებენ. მეორე-სწავლულები, იმოქმედებენ იმის და მიხედვით, რაც დაისწავლეს და შეიმეცნეს. მესამე-ბრიყვები არ იქნებიან თავ-მოწონეები თავიანთი უვიცობის გამო. მეოთხე-

ღარიბები, მარადიულ სიცოცხლეს არ გაყიდიან და არ გაცვლიან ფუფუნებაზე. "მშვენიერებაა როდესაც მდიდრები მადლიერნი არიან ალლაჰისა, მათზე ბოძებული წყალობის გამო. მაგრამ რაოდენ ამაღლებულია იხილო ღარიბები, რომლებიც მორჩილებას გამოხატავენ ალლაჰის მიმართ და თანაც არაფერს ითხოვენ მდიდართაგან, რადგან კმაყოფილნი არიან იმისა, რაც ღმერთმა უბოძათ."

„უქონლობასა და საჭიროებას უფრო ფართო ხედვის თვალსაწიერი გააჩნია, ვიდრე იმას, რომ დამოკიდებული იყო ვიღაცის მოწყალებაზე."

„პატიოსნება და წესიერება ღარიბთა სამკაულად ითვლება, ხოლო მდიდართა სამკაული ალლაჰის მიმართ მადლიერების გამოხატვაა."

„სიწუწკე ყოველი მავნე და ზიანის მომგვრელი საქციელის მიზეზია."

„ჭეშმარიტად, თანაგრძნობის გამომხატველობას გულუხვობისკენ მივყავართ, გულუხვობასშემგუებლობისკენ, შემგუებლობას კი ღვთისმსახურებისკენ."

„სიღარიბეში თუ ჩავარდი, გაეცი სადაყა (მოწყალება) და მოგეცემა ალლაჰის წყალობა. მრავალგზის გამოხატე მადლიერება უზენაესი ალლაჰის მიმართ, როდესაც სიკეთის მფლობელი გახდები! ყოველთვის ფხიზლად იყავი! არასოდეს დაკარგო ნდობა ალლაჰის მიმართ, რომ სათანადოდ გამოხატო მადლიერება მის მიმართ!"

„წუთისოფლის კეთილდღეობათაგან ბედნიერება, რომელიც ისლამს თან ახლავს, შენთვის საკმარისია. ყოველი ქმედების საპასუხოდ, რასაც კი ჩაიდენ, შენთვის ღვთისმოშიშობა ალლაჰის მიმართ საკმარისია. ყველა გასათვალისწინებელ დარიგებაზე უფრო ყურადსაღები დარიგება სიკვდილის გარდაუვალობაა და იგი შენთვის საკმარისი უნდა იყოს.“

ყველაზე ძნელად შესასრულებელ ქმედებათაგან ოთხი რამ განსხვავებულია:

1. პატიება, როდესაც განრისხებული ხარ;

2. გამოიჩინო გულუხვობა მაშინ, როდესაც თავად სიდუხჭირეს განიცდი;

3. თავი დააღწიო საკუთარი „ცდუნების“ ზემოქმედებას, მარტოდ დარჩენით;

4. სიმართლე პირდაპირ უთხრა იმ ადამიანს, ვისიც გეშინია, ან მას, ვისგანაც სარგებელს ელოდები.“

„მას ვინც ამუქებს მცირეოდენ წარუმატებლობებს, ალლაჰი დიდ უბედურებებს მოუვლენს.“

„სიმდიდრე და ქონება – ეს ცდუნების მავნე საწყისის მასალაა. (სურვილები, რომლებიც ელემენტარულ მოთხოვნილებებს უკავშირდება და მიმართულია მიწიერი კეთილდღეობისადმი. აღშფოთებულება, მწუხარებისა და გაუსაძლისი ყოფის მიმართ).

„შურს არაფერი მოაქვს, გარდა უაზრო დაღლილობისა.“

„მიწიერი სურვილები და იმედიანი განწყობილება აბრმავებს თვით ბრძენსაც და გონებამახვილობით სახელგანთქმულ ადამიანსაც.“

„ადამიანის ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სურვილები და მიზნები ამოძრავებს მას ცხოვრებაში.“

„ის, ვინც მთელს ძალისხმევას ანდომებს საკუთარი „ცდუნებისა“ და სურვილების დაკმაყოფილებას, განწირულია დაცემისა და უფსკრულისათვის.“

„ბედი იმასაც მიაგნებს, ვინც მას საერთოდ არ დაეძებს.“

„თქვენ სულთათვის სხვა არანაირი გასამრჯელო არ ინდომოთ გარდა სამოთხის წყალობისა. და რადგანაც ეს ასეა, მთელი სულიერება, სამოთხის მოსაპოვებლად გამოიყენეთ.“

„სწავლულები არიან ადამიანები, რომლებიც შინაგანად, სიღრმისეულად გრძნობენ მიწიერი სამყაროს არსს, ეს იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები წუთისოფლის მხოლოდ თვალხილულ მხარეს აღიქვამენ.’’

‘’ რწმენის გამოვლინება ალლაჰის მონა - მსახურში ნაკლოვანი იქნება მანამდე, სანამ იგი უფრო მეტად არ მიენდობა იმას, რაც ალლაჰს გააჩნია და არა იმას, რაც ხელთ უპყრია.’’

დაე, ჩვენმა უზენაესმა ღმერთმა გაიღოს ჩვენზე წყალობა, რათა ვეზიაროთ, ბედნიერებას; ჩვენი ქმედებანი შეესაბამებოდეს იმ ბრძნულ გამონათქვამებს და დარიგებებს, რომელთა სიღრმისეულ აზრსაც მისივე დახმარებით ჩავწვდებით!

დაე, უზენაესმა ალლაჰმა გაიღოს ჩვენზედ მოწყალება, რათა ჩვენი გულები ყოველთვის იყოს გაჟღენთილი ოთხი მართლმორწუნე ჰალიფას სიყვარულით, რომლებიც გახლდათ ალლაჰის წმინდა შუამავლის ﷺ უახლოესი თანამოღვაწენი და მეგობრები!

დაე, ყოვლადმოწყალე უზენაესმა ალლაჰმა თავი მოგვიყაროს და გაგვაერთიანოს მათთან ერთად მარადიულ სასუფეველში!

ეჭვგარეშეა, რომ მარადიულ სასუფეველში მისვლა ამ საჰაბეებთან ერთად იწყება უკვე ამქვეყნად. თუკი ჩვენ შევძლებთ ამქვეყნიურ ცხოვრებაში განვიმსჭვალოთ ურთიერთსიყვარულით, დაფასებითა და მეგობრული გრძნობებით, ინშალლაჰ, ხვალ, მარადიულ სამყაროში გვეგზავნება მათთან ახლოს ადგილის დამკვიდრება.

დაე, ალლაჰმა დაგვაჯილდოოს უპირატეს თვისებათა მთელი იმ არსენალით, როგორსაც ფლობდა თავიანთი მაღალზნეობრივი გამოვლინებებით ეს ოთხი მართლმორწმუნე ჰალიფა - ჰულაფაი რაშიდინი!

დაე ყოვლისშემძლე ღმერთმა მოგვანიჭოს წყალობა, რათა კეთილშობილმა საჰაბეებმა გაგვიწიონ შუამდგომლობა განკითხვის დღეს!

ამინ!

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

მისი კეთილშობილება აბუ ბაქრი ﷺ 11

კეთილშობილი ომარი ﷺ 33

კეთილშობილი ოსმანი ﷺ 57

კეთილშობილი ალი ﷺ 81

თარგმანი:

მირზა მიქატაძისა (მუჰამმედ ალი)

რედაქტორი:

მიხეილ მგელაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ზაქირ შადმანოვისა

თარგმნილია:

OSMAN NURİ TOPBAŞ Hulefâ-i Râşidîn'den Hayat Düsturları – 1

საქართველო მუსლიმანთ სასულიერო-სამუფთო

ფონდი ბარაქა

2010